განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

`

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ბობ მუნი, ქიმიური ფიზიკის ემერიტუს პროფესორი და სწავლებისა და სწავლის საკითხებში ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი, მანჩესტერის უნივერსიტეტის (დიდი ბრიტანეთი).

თანა-თავმჯდომარე: კრის სტეფენსი, საუთჰემპტონის უნივერსიტეტის (დიდი ბრიტანეთი) სამედიცინო განათლების ემერიტუს პროფესორი.

წევრები:

ნათია ჩიტაშვილი, სამართლის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანა გვრიტიშვილი, ხარისხის უზრუნველყოფის უფროსი სპეციალისტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დიანა ლეჟავა, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის ადმინისტრაციული დირექტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ირმა მანჯავიძე, კლინიკური უნარების სასწავლო ცენტრის და მულტიდისციპლინური სიმულაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო

ცოტნე სამადაშვილი, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის საავადმყოფოს სამედიცინო დირექტორი, თბილისი, საქართველო

თბილისი
2018

ავტორიზაციის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი (კსუ) მდებარეობს თბილისში. იგი დაარსდა 1995 წელს სამედიცინო ინსტიტუტის სახით და ავტორიზებულ იქნა, როგორც კერძო უნივერსიტეტი. უნივერსიტეტში 3433 სტუდენტი სწავლობს 11 საბაკალავრო პროგრამაზე (3 მათგანი ინგლისურ ენაზე), 4 ერთსაფეხურიან სამედიცინო და სტომატოლოგიურ პროგრამაზე (2 მათგანი ინგლისურ ენაზე), რომლებშიც ინტეგრირებულია საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურები, 6 სამაგისტრო პროგრამა (1 მათგანი ინგლისურ ენაზე) და 3 სადოქტორო პროგრამა (მათგან ერთი, ვიზიტის პერიოდისათვის, ჯერ არაა აკრედიტებული, გასაჩივრების ეტაპზეა). უნივერსიტეტში ხუთი ფაკულტეტია: სამედიცინო, სამართლის, ბიზნესის ადმინისტრირების, სოციალურ მეცნიერებათა და მევენახეობა-მეღვინეობის. ბაკალავრიატის სტუდენტთა რაოდენობა საერთო რაოდენობის დაახლოებით 60%-ია. სამედიცინო და სტომატოლოგიური პროგრამების სტუდენტთა რაოდენობა 30%, ხოლო საერთაშორისო სტუდენტთა რაოდენობა - 20%. უნივერსიტეტის პერსონალი შეადგენს 459 ადამიანს, რომელთაგან 191 (42%) აკადემიური პერსონალია, 148 (32%) მოწვეული და 118 (26%) ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი; აქ არის, ასევე, 124 აფილირებული პერსონალი.

საავტორიზაციო შეფასების პროცედურის მოკლე მიმოხილვა: თვითშეფასების ანგარიში და ადგილზე ვიზიტი

კსუ-მ წარმოადგინა თვითშეფასების ანგარიში (100 გვერდზე მეტი), თანდართული სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემებით და რიგი სხვა დოკუმენტებისა მტკიცებულებების სახით როგორც ინგლისურ, ისე ქართულ ენაზე. თვითშეფასების ანგარიშის მოსამზადებელი ჯგუფის წევრებმა განუცხადეს ექსპერტთა ჯგუფს, რომ პროცესი აღმოჩნდა მათთვის ყურადსაღები, რადგან ნახეს თუ რამდენად დიდი პროგრესი განიცადა კსუ-მ წინა ავტორიზაციის შემდგომ პერიოდში და რომ თვითშეფასება აშკარად შეუწყობს ხელს შემდგომ განვითარებას. უსდ-ების ავტორიზაციის სტანდარტების კუთხით თვითშფასების ანგარიშისა და სხვა მტკიცებულებების გაცნობის შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფმა ჩამოაყალიბა რიგი კითხვებისა, რათა გაადვილებოდა კსუ-ს შეფასება სტანდარტებთან შესაბამისობის კუთხით. კსუ-მ, ასევე, უზრუნველყო დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტაციის წარმოდგენა.

2018 წლის 1 ოქტომბერს გამართული მოსამზადებელი შეხვედრის შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფმა კსუ-ში ვიზიტი განახორციელა 2-4 ოქტომბერს. იგი შეხვდა ყველა დონის აკადემიურ და დამხმარე პერსონალს, სტუდენტებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს. ასევე, ეწვია კსუ-ს ობიექტებს. ისინი, ვინც შეხვდნენ ექსპერტთა ჯგუფს, აღმოჩნდნენ თავდაჯერებულნი და კარგად ინფორმირებულნი. ექსპერტთა ჯგუფი ყველა მათგანის მადლიერია დისკუსიისას მიწოდებული ღია და გასაგები ინფორმაციის გამო.

ამ ანგარიშში, თვითშეფასების ანგარიშიდან წარმოდგენილი ინფორმაცია, მას შემდეგ რაც ჩაითვალა შესაბამისად, ციტირებულია შემდგომი იდენტიფიკაციის გარეშე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

საერთო ჯამში, კსუ აკმაყოფილებს ყველა სტანდარტს. იგი კარგად იმართება, უზრუნველყოფილია რესურსებით და სათანადოდაა დაფასებული პერსონალისა და სტუდენტების, ისევე, როგორც გარე დაინტერესებულ მხარეთა მიერ. იქ, სადაც ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა სისუსტეები, ეს იყო ძირითადად ასოცირებული ზრდისა და ცვლილებების მენეჯმენტთან, რაც მოიტანა კსუ-ს ბოლოდროინდელმა წარმატებულმა განვითარებამ და ამბიციურმა გეგმებმა. მიუხედავად ამისა, კსუ წარმატებით ახორციელებს

სამედიცინო კურიკულუმის შეცვლას ახალი, 2019 წლის მიზნობრივი ნიშნულების მისაღწევად.

რეკომენდაციების შეჯამება

- კსუ-მ უნდა გააძლიეროს მუშაობა მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის მიმართულებით, რათა ხდებოდეს არა მხოლოდ მონაცემების აღწერა, არამედ მათი ინტერპრეტაცია და ნათლად აჩვენოს თუ როგორ ახდენს უნივერსიტეტი მონაცემთა ინტერპრეტირებას პროგრამების გაუმჯობესებისთვის.
- კსუ-მ უნდა უზრუნველყოს, რომ კვლევების ხელმძღვანელები იყვნენ გადამზადებულნი, რათა შეამოწმონ სტუდენტთა კვლევითი ნაშრომებისა და პუბლიკაციების სრული შესაბამისობა აკადემიურ სტანდარტებთან.
- კსუ-მ უნდა გააგრძელოს მისი ინტერნაციონალიზაციის პროცესი (1) სამეცნიერო ცენტრებთან თანამშრომლობის განვითარებით და მეტი საერთაშორისო დაფინანსების მოპოვებით, და (2) მისი პუბლიკაციების საერთაშორისო ხილვადობის გაუმჯობესების მექანიზმების შემოღებით.
- კსუ-მ უნდა გამოყოს მეტი ფართი და აღჭურვილობა, რათა სამედიცინო და სტომატოლოგიურმა პროგრამებმა უზრუნველყოს საუკეთესო შედეგების მიღწევა და სრულად შეუწყოს ხელი 2019 წლის დიპლომირებული მედიკოსის მიზნობრივი ნიშნულებთან შესაბამისობას.
- კსუ-ს ბიბლიოთეკამ უნდა შეიძინოს მეტი თანამედროვე ლიტერატურა და უცხოენოვანი სახელმძღვანელოები, რათა განავითაროს ინგლისურენოვანი სამედიცინო პროგრამა.
- კსუ-მ უნდა გააგრძელოს კვლევებზე გამოყოფილი ბიუჯეტის ზრდა კვლევითი საქმიანობის გაძლიერების მიზნით.

რჩევების შეჯამება

- კსუ-მ უნდა გააძლიეროს უცხოელ სტუდენტთა გამოცდილება ქართველ სტუდენტებთან მათი ურთიერთობების განმტკიცების გზით.
- კსუ-ს შეუძლია სამედიცინო სკოლისათვის შეიმუშაოს მკაფიო კვლევითი სტრატეგია .
- კსუ-ს შეუძლია გააუმჯობესოს მისი კვლევების საერთაშორისო კონტექსტი მეტი უცხოური სამეცნიერო ლიტერატურისა და ელექტრონული მონაცემთა ბაზების ხელმისაწვდომობის გაზრდით .
- კსუ-ს შეუძლია შეამციროს მისი ფინანსური დამოკიდებულება უცხოელ სტუდენტთა სწავლის გადასახადზე, სხვა წყაროებიდან მისი შემოსავლის პროპორციის გაზრდის ხარჯზე.
- კსუ-ს შეუძლია გააუმჯობესოს უსაფრთხოების ზომები ლაბორატორიების შესასვლელში უსაფრთხოების ინსტრუქციების ქართულ და ინგლისურ ენებზე განთავსებით.

საუკეთესო პრაქტიკის შეჯამება

- კსუ უზრუნველყოფს მნიშვნელოვან ფინანსირებას პერსონალის განვითარებაზე, მათ შორის ინგლისური ენის უნარების სწავლებაზე.
- კსუ-ს კარგად აღჭურვილი მულტი-მედია ცენტრი სტუდენტებს აძლევს დარგში მუშაობის პრაქტიკულ გამოცდილებას.

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან უსდ-ს შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობაშ ია	მეტწილად შესაბამისობაშ ია	ნაწილობრივ შესაბამისობაშ ია	არ არის შესაბამისობაშ
1.	**უსდ-ს მისია და სტრატეგიული განვითარება**	☒	☐	☐	☐
1.1	უსდ-ს მისია	☒	☐	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☒	☐	☐	☐
2.	**უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა**	☒	☐	☐	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☒	☐	☐	☐
2.2	შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები	☐	☒	☐	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☒	☐	☐	☐
3.	**საგანმანათლებლო პროგრამები**	☒	☐	☐	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☒	☐	☐	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☒	☐	☐	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☒	☐	☐	☐
4.	**უსდ-ის პერსონალი**	☒	☐	☐	☐
4.1	პერსონალის მართვა	☒	☐	☐	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☒	☐	☐	☐
5.	**სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები**	☒	☐	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	☒	☐	☐	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒	☐	☐	☐
6.	**კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა**	☐	☒	☐	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☐	☒	☐	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☐	☒	☐	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☒	☐	☐	☐
7.	**მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები**	☐	☒	☐	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☐	☒	☐	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☐	☒	☐	☐
7.3	საინფორმაციო რესურსები	☒	☐	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☐	☒	☐	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. ბობ მუნი (თავმჯდომარე)

2. ქრისტოფერ სტეფენსი (თანათავმჯდომარე)

3. ნათია ჩიტაშვილი (წევრი)

4. ანა გვრიტიშვილი (წევრი)

5. დიანა ლეჟავა (წევრი)

6. ირმა მანჯავიძე (წევრი)

7. ცოტნე სამადაშვილი (წევრი)

ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან აპლიკანტი უსდ-ს შესაბამისობის შეფასება

1. უსდ-ს მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია
o უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კსუ-ს გააჩნია მისიისა და ხედვის განაცხადები, რომლებიც შექმნილია გასულ წელს, წინა მისიისა და ხუთწლიანი სტრატეგიის საფუძველზე. ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ "კავკასია" - უნივერსიტეტის სახელწოდების ნაწილი გულისხმობს საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთს, თუმცა თანამშრომლობა სათანადოდ ვერ განვითარდა პოლიტიკური მიზეზების გამო და ამჟამად, მიზანს წარმოადგენს საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოება. მისიას ყურადღების ცენტრში აქვს დემოკრატიული საზოგადოების აქტიური წევრის ფორმირებაზე, რომელიც მზად იქნება ცოდნის შესაქმნელად და გასაზიარებლად. მისიის მიხედვით, პერსონალური და ქვეყნის წარმატებისთვის გადამწყვეტი ფაქტორებია კრიტიკული, ინოვაციური და კრეატიული აზროვნება, ისევე, როგორც ამისათვის მაქსიმალურად მომზადებული სტუდენტები. მისია ითვალისწინებს მონაწილე მხარეების ინტერესებს, კონკურენტულობის ხარისხს შრომის ბაზარზე და ევროპიზაციის მიზანს. კსუ ჯერ კიდევ ახალი უნივერსიტეტია და მისი მისია უნდა პასუხობდეს მომავალს თანამედროვე კულტურის აღიარებაში, განსაკუთრებით შერჩევასა და მრავალფეროვანი სტუდენტური კონტინგენტის მოზიდვასთან დაკავშირებით. კსუ-ს მისიის განაცხადი შეესაბამება საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს. თვითშეფასების ანგარიში აღწერს მისიის შემუშავების პროცესს და იმას, თუ როგორაა დაკავშირებული ეროვნულ პრიორიტეტებთან. ექსპერტთა ჯგუფთან შეხვედრებზე უმეტესობისათვის (სტუდენტები, აკადემიური და არააკადემიური პერსონალი) მისია ფართოდ იყო ცნიბილი. ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ მისია სარგად იქნა შემუშავებული და მკაფიოდაა დაკავშირებული კსუ-სთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები დანართები 1.1.1-11 ინტერვიუები კანცლერთან, რექტორთან, სხვა უფროს პერსონალთან, აკადემიურ საბჭოსთან.
რეკომენდაცები: არცერთი
რჩევები: არცერთი
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არცერთი
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

1.2 სტრატეგიული განვითარება

- უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი).
- უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას.
- უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიში აღწერს შვიდწლიანი სტრატეგიული (2018-2024წწ) და სამწლიანი სამოქმედო გეგმის (2018 - 2021წწ) შემუშავების პროცესს. ფაქტობრივი გეგმები ხელმისაწვდომია ვებგვერდზე. ეს იძლევა სამომავლო ქმედებების ვრცელ სიას, დაყოფილს ექვს ძირითად სფეროდ, მეტი დეტალებით ვადებთან და ხარჯებთან დაკავშირებით. გეგმები მკაფიოდაა ორიენტირებული საზოგადოების, ცოდნის გაზიარებისა და უწყვეტი განათლების განვითარებაზე. ორივე დოკუმენტი შემუშავდა ბოლო წლის განმავლობაში და ემყარება წინა ვერსიებს. თვითშეფასების ანგარიში აღწერს იმას, თუ როგორ იყვნენ ჩართულნი სამუშაო ჯგუფები და კსუ-ს მენეჯმენტი, ისევე, როგორც გარე კონსულტანტები, პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები სტრატეგიის განხილვაში. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია ეფუძნება გარემო პირობების ანალიზს, პოზიტიურ და ნეგატიურ ტენდენციების კომბინაციას ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებთან და უნივერსიტეტის შესაძლებლობებს. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია ცხადყოფს, რომ მის ჩამოსაყალიბებლად გამოყენებულ იქნა SWOT-ანალიზი, არსებული და მოსალოდნელი რესურსები, კონკურენცია და სამომავლო მიზნები. შიდა რეგულაციებისა და პროცედურების შესაბამისად ხდება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი. ამის თაობაზე არსებობს გასული რამოდენიმე წლის ანგარიში. რექტორი, აკადემიური საბჭო, დეკანები, ხარისხის უზრუნველყოფის გუნდი, სხვა პერსონალი და სტუდენტები ადასტურებენ გეგმების ფართო გავრცელებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

დანართი 1.1.1 სტრატეგიული განვითარების გეგმა (2018-2024წწ)
დანართი 1.1.5 კსუ-ს ხელშეკრულებები და მემორანდუმები პარტნიორ ორგანიზაციებთან (დამსაქმებლებთან)
დანართი 1.1.9 კსუ-ს 2018 წლის ბიუჯეტი
დანართი 1.1.11 კსუ-ს ვებ-გვერდი www.ciu.edu.ge

ინტერვიუები უფროს პერსონალთან, აკადემიურ საბჭოსთან, დეკანებთან, ხარისხის უზრუნველყოფის გუნდთან, სხვა პერსონალთან, სტუდენტებთან

რეკომენდაციები: არცერთი

რჩევები: არცერთი

საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არცერთი

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა
o უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას. o უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი. o უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას. o უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურა, გამოქვეყნებული უნივერსიტეტის ვებ გვერდზე, ტიპიურია კერძო უნივერსიტეტებისათვის. კსუ იმართება კანცლერის მიერ, რომელიც დანიშნულია მფლობელების მიერ. ასევე, სახელდება პარტნიორების მიერ. კსუ-ს აქვს რექტორის აპარატი, აკადემიური საბჭო, შემდგარი ყველა პროგრამის კოორდინატორისაგან და მრჩეველთა საბჭო, რომელიც შედგება გარე ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან. კსუ-ს აქვს ყველა ძირითადი სტრუქტურა, როგორებიცაა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სტუდენტთა ხელშეწყობის სერვისები, კარიერული განვითარების ცენტრი, კვლევების განვითარების დეპარტამენტი და სხვა სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც უზრუნველყოფენ კსუ-ს ეფექტურ მენეჯმენტსა და მის აკადემიურ პროცესებს. ამასთან, კსუ წარმოადგენს ოჯახურ ბიზნესს, რაც შესაძლოა, საეჭვოს ხდიდეს პერსონალის სამართლიან დანიშვნას სხვადასხვა თანამდებობებზე. თუმცა, ადგილზე ვიზიტმა ნათლად აჩვენა, რომ პერსონალის თითოეული წევრი კომპეტენტურია დაკავებული თანამდებობისა და კარგად იცის საკუთარი მოვალეობები. უნივერსიტეტის მენეჯმენტი განაწილებულია კანცლერსა და რექტორს შორის, კანცლერით - უზენაეს მმართველად. მისი პასუხისმგებლობა მოიცავს უნივერსიტეტის მთლიან მენეჯმენტს, განსაკუთრებით ადმინისტრაციულ მხარეს, მათ შორის ფინანსურ მენეჯმენტს დელეგირებულს მეპატრონეების მიერ. რექტორი მოქმედებს კანცლერის ეგიდის ქვეშ და პასუხისმგებელია აკადემიურ საქმეებზე. სხვადასხვა დეპარტამენტების პასუხისმგებლობა ნათლადაა გამიჯნული მათ შორის, გარკვეული ურთიერთქმედებებით დეპარტამენტებს შორის, რაც უზრუნველყოფს ერთსულოვნებას მენეჯმენტში. მაგალითად, დიპლომის დანართს ამზადებს აკადემიური პროცესის მენეჯმენტის სამსახური, მაგრამ გასცემს სტუდენტთა მომსახურების ოფისი. მსგავსი სტრუქტურები მუშაობენ სხვა დეპარტამენტებს, ფაკულტეტებსა და ადმინისტრაციულ სამსახურებს შორის. მაგალითად, დოქტორანტთა მიღების ადმინისტრირება წარმოებს უფრო სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის, ვიდრე ფაკულტეტების მიერ, მაგრამ სადოქტორო პროგრამის აკადემიურ ასპექტებს ზედამხედველობენ ფაკულტეტები. როგორც ეს ადგილზე ვიზიტისას გახდა ნათელი, ასეთი სტრუქტურა უზრუნველყოფს ფაკულტეტების ფოკუსირებას უფრო მეტად აკადემიურ საქმეებზე, დოკუმენტაციის კონტროლით ადმინისტრაციული ერთეულის მიერ. სტუდენტური თვითმმართველობა მედიაციას ახდენს სტუდენტებსა და კსუ-ს ადმინისტრაციას შორის სტუდენტთა პროექტებისა თუ ინიციატივების დაცვით

უნივერსიტეტის მენეჯმენტის წინაშე და მათთან ფინანსებზე დისკუსიით. სტუდენტური თვითმმართველობის წევრები ავტომატურად არიან ფაკულტეტის საბჭოს წევრები, თუმცა სტუდენტები არ არიან წარმოდგენილნი აკადემიურ საბჭოში. მიუხედავად ამისა, სტუდენტური თვითმმართველობის წევრებმა ექსპერტთა ჯგუფთან შეხვედრაზე განაცხადეს, რომ მათ არ ესაჭიროებათ აკადემიური საბჭოზე წარმომადგენლობა; ფაკულტეტის საბჭოს წევრობა მნიშვნელოვანია, რადგან მათ იციან, რომ აქ წამოჭრილი საკითხები მიდის აკადემიურ საბჭოზე.

უნივერსიტეტის მენეჯმენტის დანიშვნის პროცედურები კარგადაა აღწერილი და გამჭვირვალეა; კანცლერი წარმოადგენს ერთადერთ პირს, რომელიც ინიშნება მხოლოდ მეპატრონეების პირადი გადაწყვეტილებით. თითოეული სამსახურის დებულება იძლევა სამუშაოს აღწერილობას და დეტალურად აზუსტებს განმცხადებლის კვალიფიკაციისადმი მოთხოვნებს. უნივერსიტეტის წესდება განმარტავს რექტორისადმი მოთხოვნებს და მის მოვალეობებს. რექტორის ხელმძღვანელობის ქვეშ მოქმედი დეპარტამენტების პერსონალი შეირჩევა რექტორის მიერ, თუმცა ოფიციალურად ინიშნება კანცლერის მიერ, რომელსაც აქვს ხელფასის ოდენობაზე მოლაპარაკების უფლება. რექტორის მიერ შეირჩევა და მისი ბრძანებით ინიშნება მხოლოდ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პერსონალი (იხილეთ შემდგომში).

უნივერსიტეტის სტრუქტურა უზრუნველყოფს კსუ-ს ეფექტურ კოორდინაციასა და მენეჯმენტს. იგი იყენებს მისი პერსონალის შეფასების სისტემას. კსუ ასევე ასაქმებს საკუთარ კურსდამთავრებულებს, ხელს უწყობს სტუდენტების სტაჟიორებად მუშაობას ადმინისტრაციულ თუ აკადემიურ პოზიციებზე, სადაც შესაძლებელია დასაქმდნენ სწავლის დამთავრების შემდეგ, თუ დააკმაყოფილებენ პოზიციისათვის საჭირო კრიტერიუმებს.

კსუ-ს გააჩნია საქმიანობის უწყვეტობის გეგმა, რომელიც მოიცავს გარე საფრთხეების რისკების ჩამონათვალს და მათი გაუვნებელყოფის გეგმებს. სტუდენტთა რაოდენობის შემცირებასთან დაკავშირებული რისკები არ განიხილება გეგმაში, იმის მიუხედავად, რომ სწავლის გადასახადი შეადგენს უნივერსიტეტის მთელი ბიუჯეტის თითქმის ნახევარს. თუმცა, ადგილზე ვიზიტმა გამოააშკარავა, რომ უნივერსიტეტის დივერსიფიცირებული შემოსავალი, ფინანსური მექანიზმები და მეპატრონეების მიერ აღებული ვალდებულებები, ფინანსური კრიზისის შემთხვევაში დაეხმარება უნივერსიტეტს.

მისი, როგორც საერთაშორისო უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე, კსუ-ს შემუშავებული აქვს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები. უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები 50-მდე უცხოურ უნივერსიტეტთან, თუმცა ყველა მათგანი არ მოქმედებს. მიუხედავად ამისა, ადგილზე ვიზიტისას ნათელი გახდა, რომ კსუ-ს აქვს ძალიან მტკიცე კავშირები ესპანეთის, პოლონეთის და აღმოსავლეთ ევროპის მთელ რიგ უნივერსიტეტებთან. კსუ სარგებლობს ამ პარტნიორობით სტუდენტთა და პერსონალის მობილობის (როგორც შემოყვანის, ისე გაყვანის), ერთობლივი კვლევების, ერთობლივი აკადემიური პროგრამების და სხვ. ხელშესაწყობად. სტუდენტთა მოსაზიდად გარკვეული სამიზნე ქვეყნებიდან, კსუ, ასევე, სარგებლობს რეკრუტირების კომპანიების მომსახურებით, რადგან ეს უფრო ეკონომიურია, ვიდრე საკუთარი ძალისხმევა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

უნივერსიტეტის სტრუქტურის დიაგრამა
უნივერსიტეტის წესდება
უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა
თითოეული ადმინისტრაციული ერთეულის დებულებები
თითოეული ფაკულტეტის დებულება
ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმა
უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და სამოქმედო გეგმა
პჭრტნიორობის მემორანდუმები უნივერსიტეტებთან და სხვა დაწესებულებებთან

ინტერვიუები უფროს პერსონალთან, მრჩეველთა საბჭოსთან, აკადემიურ საბჭოსთან, სტუდენტურ თვითმმართველობასთან, სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტთან, სტუდენტთა მომსახურების ოფისთან, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტთან

რეკომენდაციები: არცერთი

რჩევები: არცერთი

საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არცერთი

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

- უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.
- უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტს გააჩნია რექტორის დაქვემდებარებაში მყოფი ხარისხის უზრუნველყოფის (QA) სამსახური. მისი ხელმძღვანელი და პერსონალი, სხვა სამსახურებისაგან განსხვავებით, ინიშნება უშუალოდ რექტორის მიერ. ამ განსხვავებული სტრუქტურის არსი გაირკვა ადგილზე ვიზიტისას: როგორც წესი, პერსონალის ანაზღაურების ოდენობის საკითხს წყვეტს კანცლერი, თუმცა უნივერსიტეტის მენეჯმენტისათვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მნიშვნელობიდან გამომდინარე, რექტორს ეძლევა აბსოლუტური თავისუფლება შრომის ანაზღაურების საკითხიც კი გადაწყვიტოს კანცლერთან კონსულტაციის გარეშე.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება მკაფიოდ აღწერს სამსახურისა და მისი პერსონალის ფუნქციებსა და მოვალეობებს. სამსახური პასუხისმგებელია ინსტიტუციური ავტორიზაციისა და პროგრამული აკრედიტაციის პროცედურებზე და აკადემიური პროგრამების ხარისხის კონტროლზე, მათ შორის, სტუდენტთა, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის და კურსდამთავრებულების კვლევაზე და შედეგების ანალიზზე. შიდა ხარისხის უზრუნველყოფა ემყარება PDCA (Plan, Do, Check, Act) მიდგომას და შესაბამისი ეტაპები აღწერილია პროგრამის შემუშავების გეგმაში. კსუ ახდენს პროგრამის შემუშავების რეგულირებას ეტაპობრივი ინსტრუქციებით, დაწყებული პროგრამის ინიცირებიდან, დისკუსიიდან, შემუშავებიდან, მის დამტკიცებამდე და განხორციელების მონიტორინგამდე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მეშვეობით. პროგრამის შემუშავების გადაწყვეტილება ეფუძნება შრომის ბაზრის კვლევას, როგორც ეს დადასტურდა ადგილზე ვიზიტისას, როდესაც ექსპერტთა ჯგუფმა იხილა შრომის ბაზრის კვლევის ანგარიშები.

ექსპერტთა ჯგუფმა დაადასტურა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად ახორციელებს სტუდენტთა და პერსონალის კმაყოფილების კვლევას და იყენებს მათ კსუ-ში აკადემიური პროგრამებისა და სერვისების განვითარების მიზნით. მიუხედავად ამისა, ექსპერტთა პანელის მიერ შესწავლილი კვლევების ანგარიშები მოიცავდა ძირითადად სტატისტიკურ ინფორმაციას, რომლებიც მეტწილად აღწერითია, ვიდრე ინტერპრეტირებადი. მსგავსად, დოკუმენტი „ხარისხის შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურა და შედეგების გამოყენების ანგარიში“ აღწერს პროცედურებს, წლის

განმავლობაში განხორციელებულ ცვლილებებს, სხვადასხვა აკადემიური პროგრამის ძლიერ მხარეებს და უნივერსიტეტის ინფრასტუქტურას. აღნიშნული დოკუმენტში ნათლად არ არის ნაჩვენები თუ როგორ გამოიყენება გამოკითხვების შედეგები (თუმცა პერსონალმა, რომელთაც შეხვდა ექსპერტთა პანელი, დაასახელეს გარკვეული მაგალითები) ან დამოუკიდებელი ექსპერტების შეფასებები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები აკვირდებიან ლექციებს, მაგრამ უკუკავშირი არის ფართოდ ფორმალური. როგორც 3.3. კომპონენტშია აღწერილი, კსუ ასევე აანალიზებს შეფასების გადანაწილებას, რომ დაეხმაროს ლექტორებს სწავლის შედეგების მიღწევაში. PDCA ციკლის "იმოქმედე"კომპონენტი უნდა გაძლიერდეს, რათა ანალიზის მეთოდები და შედეგები გახდეს უფრო მკაფიო. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს დოკუმენტი, რომელიც ადგენს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის პროცედურას. ამ მიზნით გამოიყენება სპეციალური ფორმულა, რომელიც ითვლის სტუდენტთა რაოდენობასა და სრულ, ასოცირებულ და ასისტენტ პროფესორთა რაოდენობას. ფორმულა, ასევე, ითვალისწინებს უნივერსიტეტის საერთო სამიზნე ნიშნულს სტუდენტთა კონტინგენტის მაქსიმალური რაოდენობის მიმართ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება სტუდენტური კმაყოფილების კვლევები 2.12.1 კვლევის შედეგების ანალიზი და შესაბამისი პროექტები კურსდამთავრებულთა კვლევა პერსონალის კვლევები შრომის ბაზრის კვლევის ანგარიში სხვადასხვა აკადემიური დისციპლინებისათვის 2.11.1 ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და ეფექტურობის შეფასება 2.13 ხარისხის შეფასების შედეგების გამოყენების წესი და შედეგების გამოყენების შესახებ ანგარიში 2.2.8 სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის და მიღების წესი ინტერვიუები აკადემიური პროცესის მენეჯმენტის სამსახურთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, პროგრამის კოორდინატორებთან, პედაგოგებთან
რეკომენდაციები: კსუ-მ უნდა გააძლიეროს მუშაობა მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის მიმართულებით, რათა ხდებოდეს არა მხოლოდ მონაცემების აღწერა, არამედ მათი ინტერპრეტაცია და ნათლად აჩვენოს თუ როგორ ახდენს უნივერსიტეტი მონაცემთა ინტერპრეტირებას პროგრამების გაუმჯობესებისთვის.
რჩევები: არცერთი
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არცერთი
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.
2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა
o უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია. o უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები. o უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კსუ-ს აქვს ეთიკის კოდექსი სტუდენტებისათვის, რომელიც შესაბამისად განმარტავს წესებს, რომლებიც უნდა დაიცვას სტუდენტმა კამპუსში; იგი, ასევე, მხარს უჭერს არადისკრიმინაციურ პოლიტიკას სხვადასხვა ჯგუფების მიმართ და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ასეთი ქცევა არ იქნება შეწყნარებული კამპუსის გარეთაც. ეთიკის კოდექსი გამოქვეყნებულია უნივერსტეტის ვებგვერდის სტუდენტურ სექციაში ქართულ და ინგლისურ ენებზე. სტუდენტებს კარგად აქვთ გაცნობიერებული საკუთარი პასუხისმგებლობა თავიანთი უნივერსიტეტის წინაშე; მათ იციან ამ წესების დარღვევის შედეგების შესახებ, ისევე, როგორც პროცედურების შესახებ თუ როგორ გაასაჩივრონ მათი უფლებების დარღვევა. აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ეთიკური ქცევის შესახებ ცალკე დოკუმენტი არ არსებობს. მიუხედავად ამისა, დეტალური ინფორმაცია ამ საკითხთან დაკავშირებით მოცემულია შინაგანაწესის დოკუმენტში, რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს გაცნობიერებული აქვს ეს დოკუმენტი და შესაბამისი პროცედურები. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ანტი-პლაგიარიზმის პოლიტიკა, რომელიც მკაფიოდ განმარტავს სანქციებს მისი დარღვევის შემთხვევაში. დოკუმენტი ეხება სტუდენტებს და აკადემიურ პერსონალს, რომლებიც კარგად იცნობენ პოლიტიკას. იგი ნათლად ხსნის თუ რა მიიჩნევა პლაგიარიზმად (მათ შორის თვით-პლაგიარიზმად) და უნივერსიტეტის მიერ ამ კუთხით გაწეულ პრევენციისა და გამოვლენის ზომებს. უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს კონტრაქტი ეროვნულ ბიბლიოთეკასთან ანტიპლაგიარიზმის პროგრამით სარგებლობაზე. უნივერსიტეტის სახელით მომზადებული თითოეული ნაშრომი (სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომები, აკადემიური ნაშრომები და სხვ.) ორიგინალობაზე მოწმდება ამ პროგრამით. კსუ რეგულარულად ახორციელებს პრევენციულ ზომებს სტუდენტებისათვის აკადემიური წერის კურსების ფორმით, რომლებზეც ხდება პოლიტიკის დეტალების განმარტება; სტუდენტები, რომლებიც შეხვდნენ ექსპერტთა ჯგუფს ადასტურებენ, რომ აკადემიური პერსონალი მათ რეგულარულად ესაუბრება პლაგიარიზმის შესახებ. პროფესორებსა და ლექტორებს, რომლებიც შეხვდნენ ექსპერტთა ჯგუფს, დაესვათ არაპირდაპირი კითხვები ადმინისტრაციის ჩართულობაზე მათ საქმეებში. კსუ-ს ადმინისტრაციის მხრიდან ჩართულობა დაკავშირებულია მხოლოდ პროგრამის ფორმალურ სტრუქტურასთან და ხარისხის უზრუნველყოფის სხვადასხვა მექანიზმებთან, მაგრამ არასოდეს აკადემიურ პროცესთან. კსუ-ში პერსონალის და სტუდენტების აკადემიური თავისუფლება არ არის შეზღუდული, არც სწავლებაში, არც სწავლაში და არც კვლევაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ეთიკის კოდი სტუდენტებისათვის შინაგანაწესი პლაგიარიზმის გამოვლენისა და რეაგირების წესი სტუდენტის სახელმძღვანელო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი ინტერვიუები სტუდენტებთან, პედაგოგებთან, სტუდენტთა მომსახურების ოფისთან
რეკომენდაციები: არცერთი
რჩევები: არცერთი
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არცერთი
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება
უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ანგარიშის მე-2 გვერდზე ჩამოთვლილი კსუ-ს ყველა პროგრამა აკრედიტებულია, გარდა სადოქტორო პროგრამისა ბიზნესში (გასაჩივრების ეტაპზეა) და ავტორიზებული საბაკალავრო პროგრამა ბიზნესში ინგლისურ ენაზე, რომელიც ინდოელ სტუდენტებზეა გათვლილი დ რომლისთვისაც აკრედიტაცია არ ყოფილა მოთხოვნილი. კსუ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის დეტალური მეთოდოლოგია, მათ შორის 5 წლიანი განვითარების გეგმა. პროგრამებს აქვთ დონეზე დამოკიდებული კურსებისა და კრედიტების კარგად განსაზღვრული სტრუქტურა, სავალდებულო და არჩევითი კომპონენტებით; აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების კვლევები ხორციელდება იმის დასადგენად, თუ რამდენად რეალურადაა განაწილებული კრედიტ-საათები. კსუ-ს ასევე, გააჩნია არსებული პროგრამების შეფასების, მოდიფიცირებისა და გაუქმების რეგულაციები. ახალი პროგრამების შეთავაზება შესაძლებელია ცენტრალურად, ან ფაკულტეტის მიერ, ან ბაზრის კვლევით ინფორმირებული გარე პარტნიორის მიერ და კსუ-ს სტრატეგიასთან შეთანხმებულობის შემთხვევაში. ისინი შემუშავდება ფაკულტეტზე დაკომპლექტებული ჯგუფის მიერ, რომელიც ინიშნება პროგრამის კოორდინატორთან სამუშაოდ რათა განისაზღვროს პროგრამის სტრუქტურა და მისი შემადგენელი კურსები. ისინი, თავის მხრივ, შემუშავდება აკადემიური პერსონალის მიერ მკაფიო სპეციფიკაციების მიხედვით. შემუშავება ითვალისწინებს ფაკულტეტის წევრების, სხვა უნივერსიტეტების საგნის ექსპერტთა, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა (არსებობის შემთხვევაში) და პოტენციურ დამსაქმებელთა შეხედულებებს. ზოგიერთი დამსაქმებელი ასწავლის პროგრამაზე როგორც მოწვეული ლექტორი, ზოგიც ჩართულია ლექციებში, სემინარებში ან პრაქტიკულ მეცადინეობებში, ისევე, პროგრამის შემუშავებაში. საერთო ჯამში, კსუ ძალიან მგრძნობიარეა პროგრამებზე გამოხმაურების მიმართ და კერძოდ ,უკანასკნელ პერიოდში გაზარდა პრაქტიკული მუშაობის პროპორცია, როგორც ამის რეკომენდაციას იძლეოდნენ სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. შემოთავაზებულ პროგრამის მიმოიხილავს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და შემდეგ - აკადემიური საბჭო. თუ ორივე მათგანი დაკმაყოფილდა, გამოიყოფა რესურსები ბაზრის შესასწავლად და თუ ისიც დამაკმაყოფილებელი იქნა - მხოლოდ ამის შემდეგ მტკიცდება საბოლოოდ პროგრამა. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იხილავს პროგრამის მსვლელობას ყოველ 2 წელიწადში (ან უფრო ხშირად თუ საჭიროა) რათა ნახოს თუ სადაა საჭირო განვითარება ძლიერი მხარის გასაუმჯობესებლად და სისუსტის შესამცირებლად. განიხილება შესაბამისი შესრულების ინდიკატორების სპექტრი, მათ შორის, აკადემიური პერსონალის შეფასება. საანგარიშო პერიოდში პროგრამის განახლებისათვის განხორციელდა რიგი ინიციატივებისა და ისინი გახადა უფრო ეფექტიანი, მათ შორის კურსების დამატებით, გადაადგილებითა და ამოღებით. პროგრამის გაუქმებისას რეგულაციები ითხოვენ სტუდენტთა ინფორმირებას. მათ მიეწოდებათ ინფორმაცია ანალოგიური პროგრამების მქონე სხვა ინსტიტუციების შესახებ და

აღმოეჩინებათ დახმარება კსუ-ში მათი მოსწრების მაქსიმალურად აღიარებაში, მაგალითად კრედიტების ტრანსფერით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები დანართი 3.1.1 დანართი 3.1.3 პროგრამის სპეციფიკაციები ინტერვიუები აკადემიურ საბჭოსთან, დეკანებთან, პროგრამის კოორდინატორებთან, პედაგოგებთან, მათ შორის მოწვეულ ლექტორებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან
რეკომენდაციები: არცერთი
რჩევები: არცერთი
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არცერთი
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.
3.2 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი
o პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. o ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კსუ აქვეყნებს პროგრამების ყოველწლიურ კატალოგს, სათანადო მოკლე ინფორმაციით პროგრამის შინაარსის, მიღების მოთხოვნების, მისანიჭებელი კვალიფიკაციის და პოტენციური დასაქმების შესახებ. კსუ მისდევს ECTS-ს სქემას და სხვა შესაბამის რეგულაციებსა და მითითებებს და ამზადებს პროგრამის სპეციფიკაციებს სტანდარტულ ფორმატში, რომელიც ითვალისწინებს მიზნებს, სწავლის შედეგებს და სასწავლო პროგრამის სტრუქტურას კურსების თვალსაზრისით. პროგრამის დასამტკიცებლად წარმოდგენილი დოკუმენტაცია მოიცავს ცხრილებს, რომლებიც აჩვენებს თუ როგორ მიიღება პროგრამის სწავლის შედეგები შემადგენელი კურსების სწავლის შედეგებიდან და როგორ განვითარდა პროგრამის კომპეტენციები და საგნობრივი ცოდნა, მათ შორის კონკრეტული დარგის სტანდარტები, კურსების მიერ. დოკუმენტაცია, ასევე, ემსახურება იმის დემონსტრირებას, რომ პროგრამის სწავლის შედეგები არის უმაღლესი განათლების ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიერ განსაზღვრული მოთხოვნების რელევანტური. თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, გამოცდილება აჩვენებს, რომ სტუდენტებს შეუძლიათ პროგრამის შედეგების მიღწევა გონივრულ პერიოდში, რადგან პროგრამის კომპონენტები ლოგიკურად არიან დაკავშირებულნი. კსუ ამოწმებს პროგრამის კვალიფიკაციების დონესა და შესაბამისობას კურსდამთავრებულთა გამოკითხვით მათი დასაქმებისა და თანმდევი განათლების თაობაზე. სტუდენტებს შეუძლიათ რჩევის მიღება მათი სასწავლო პროგრამის დაგეგმვაზე რიგი აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისაგან. სწავლის პერიოდში აკადემიური დახმარება, ასევე, ხელმისაწვდომია სხვადასხვა წყაროდან, მათ შორის აკადემიური პერსონალისაგან საკონსულტაციო საათებში. ექსპერტთა ჯგუფთა შეხვედრაზე სტუდენტები ამობობენ, რომ დამატებითი დახმარება ლექტორებისაგან ხელმისაწვდომია სამუშაო

საათების შემდეგაც და მესიჯების მეშვეობითაც. შესაბამის დეკანატში მათ, ასევე, მუდმივად უწევენ დახმარებას.

სტუდენტთა დაახლოებით 2%-ს აქვს ინდივიდუალური აკადემიური გრაფიკი, რომელიც დამტკიცებულია ფაკულტეტის საბჭოს მიერ. მაგალითს წარმოადგენს გაცვლითი პროგრამების სტუდენტები, უცხოელი სტუდენტები, სტუდენტები სპორტული და ოჯახური ვალდებულებებით და სტუდენტები შეზღუდული შესაძლებლობებით.

ექსპერტთა ჯგუფს მიაწოდეს აკრედიტებული სამედიცინო და სტომატოლოგიური პროგრამების დეტალები, რომლებსაც ასწავლიან ქართულად და ინგლისურად. ისინი შეხვდნენ დეკანს, პროგრამის დირექტორებს, ძირითად სამეცნიერო და კლინიკურ პედაგოგებს, სტუდენტებს, დამსაქმებლებს და კურსდამთავრებულებს.

სამედიცინო სკოლის კარგად დამკვიდრებულ სტომატოლოგიურ პროგრამას, უნივერსიტეტის კამპუსთან არსებული სტომატოლოგიური კლინიკის ბაზაზე, როგორც ჩანს გააჩნია კარგი სტანდარტი. მას აქვს ძირითადს პლუს რამდენიმე ვარიანტი, სადაც სტუდენტებს აქვთ არჩევანი სფეროების შესასწავლად. მეორე წლიდან სტუდენტები არიან კლინიკაში, რომელიც კარგადაა დაკომპლექტებული აკადემიური სტომატოლოგებით და მოსახლეობას უწევს მაღალი დონის სტომატოლოგიურ მომსახურებას.

არსებული სამედიცინო პროგრამა, რომელიც დამტკიცდა 2013 წელს, ასევე, კარგადაა ჩამოყალიბებული. მისი სტრუქტურა ტრადიციულია, წინა-კლინიკური მეცნიერების სწავლებით, რომლსაც მოყვება კლინიკური სწავლება. მცირეა პაციენტებთან ადრეული კონტაქტები. შეფასებები და სწავლება მწირედაა ინტეგრირებული, მაგრამ ექსპერტთა ჯგუფმა მოისმინა ახალი ინიციატივები ბიოქიმიასა და ფიზიოლოგიას შორის, სადაც სწავლება და სწავლა ინტეგრირებულია. პროგრამის სპეციფიკაცია აღნიშნავს მე-2 საფეხურის ინტეგრაციას ჰარდენის ნაშრომის "კურიკულუმის" მითითებით, რომელიც აღწერს ინტეგრაციის 11 საფეხურს [სამედიცინო განათლება 34, 551-557 (2000წ)]. მე-2 საფეხური გულისხმობს პედაგოგების მიერ სხვა პედაგოგთა სწავლების გაცნობიერებას. ეს დონე საკმაოდ შეზღუდულია და მეტი მუშაობაა საჭირო ინტეგრაციის უფრო მაღალ დონეზე ასაყვანად, რათა გამოსადეგი გახდეს სტუდენტთა სწავლისათვის. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დათვალიერებული კლინიკური ობიექტები მაღალი ხარისხისაა, პაციენტთა განსხვავებული შემადგენლობით, კარგი კლინიკური ხელმძღვანელობითა და კარგი სასწავლო სივრცით სტუდენტთათვის. ექსპერტთა ჯგუფს განემარტა, რომ არის კიდევ სხვა სპეცილობის სხვა ობიექტებიც, მაგალითად, ფსიქიკური ჯანმრთელობის. დაწყებითი სამედიცინო დახმარების სწავლება კურიკულუმში ინტეგრირებულია, თუმცა კერძოდ როგორ - არ იყო ნათელი.

ახალი კურიკულუმი დამტკიცებულია 2018 წლის 31 აგვისტოს. იმის გამო, რომ სამედიცინო პროგრამები ძალიან დიდია, ძნელია მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელება შუა პროგრამაში, მაგრამ მედიცინის ფაკულტეტმა შეიმუშავა დამატებითი მოდულები იმისათვის, რომ სტუდენტებს მისცემოდათ ახალ პროგრამაზე ტრანსფერის შესაძლებლობა. პროგრამის ხელმძღვანელი გუნდი ავლენს სურვილს და ინიციატივას გარკვეული მნიშვნელოვანი სფეროებისათვის ექსპერტთა მოსაზიდად, როგორიცაა მაგალითად პალიატიური მზრუნველობა. პრობლემური სწავლების, პორტფოლიოსა და ახალი კლინიკური შეფასებების შესახებ განხორციელდა პერსონალის საკადრო უზრუნველყოფა. საბაზისო სამედიცინო განათლების პროგრამის შედეგები ეფუძნება ახალ ქართულ კრიტერიუმებს, ამოღებულს TUNING / MEDINE პროექტიდან, რათა შეესაბამებოდეს ევროპის კვალიფიკაციების ჩარჩოს. 2018 წლის პროგრამა დაგეგმილ, შემუშავებულ და მოხაზულ იქნა ახალი, 2019 წლის სტანდარტების მიხედვით და აკმაყოფილებს 2019 წლის ეროვნული კურიკულუმით გათვალისწინებულ შედეგებს.

ახალი კურიკულუმის სტრატეგიული დაგეგმვის შემდეგ, სრული განხორციელება მოითხოვს ინოვაციური იდეების მქონე ძლიერ ხელმძღვანელობას და ძირითადი ყურადღების გამახვილებას ცვლილებების მართვაზე. არის შესაძლებლობები, რომ ახალი სამედიცინო

კურიკულუმი გახდეს საინტერესო და ინოვაციური, მაგალითად, პროექტზე მუშაობის არჩევანის შემოტანით და აქცენტირებით ეროვნულ პრიორიტეტულ სფეროებზე, როგორებიცაა, ფსიქიკური ჯანმრთელობა და ხანდაზმულთა მოვლა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები პროგრამის კატალოგი პროგრამის სპეციფიკაციები ინტერვიუები სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დეკანებთან, პროგრამის კოორდინატორებთან, პედაგოგებთან ობიექტებზე ვიზიტი
რეკომენდაციები: არცერთი
რჩევები: არცერთი
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არცერთი
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.
3.3 სწავლის შედეგების შეფასება
o უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასების ანგარიშის შესაბამისად, შეფასების პროცესი ადგენს სტუდენტებმა შეიძინეს თუ არა "პრობლემის მოგვარების, კვლევასთან დაკავშირებული კითხვის დასმის, გაანალიზების, დასკვნის გამოტანის, რეკომენდაციების ჩამოყალიბების, საჭირო ინსტრუმენტების გამოყენების, საკუთარი მუშაობის ორგანიზების, შედეგების გაზიარების და საკუთარი შეხედულების დაცვის უნარები". ესენია უფრო ზოგადი, ვიდრე პროგრამის სპეციფიკური სწავლის შედეგებია, მაგრამ კსუ, ასევე, საჭიროებს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შეესაბამება კურსის კონკრეტულ სწავლის შედეგებს. შეფასების დეტალები განისაზღვრება კურსზე პასუხისმგებელი აკადემიური პერსონალის მიერ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით და ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის კურსის სილაბუსში, ონ-ლაინ ან პერსონალის მეშვეობით. გამოცდები ადმინისტრირდება საგამოცდო ცენტრის მიერ, რომელიც იღებს საგამოცდო ბილეთებს ლექტორებისაგან, მართავს გამოცდებს და უბრუნებს ნამუშევრებს ლექტორებს შესაფასებლად. იგი იღებს შეფასებულ ნაშრომებს, შეაქვს ნიშნები სწავლის მენეჯმენტის სისტემა GONI-ში და გადასცემს ნამუშევრებს სტუდენტთა მომსახურების ცენტრს, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ გაეცნონ თავიანთ ნამუშევრებს. კსუ იყენებს ელექტრონული ტესტირების და შეფასების ზოგიერთ სახეს, როგორიცაა რამდენიმე პასუხის მქონე ტესტები, თუმცა არსებობს მეტის გაკეთების შესაძლებლობა, რათა პერსონალის სამუშაო დრო უკეთ იქნეს გამოყენებული. არსებული სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს კომპიუტერული შეფასებისათვის ორი ოთახის აღჭურვას. სწავლის შედეგების შეფასებისა და სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახდენს გაუსის დისტრიბუციიდან გადახრის იდენტიფიცირებას და როდესაც ასეთი შემთხვევები დგინდება, იგი მუშაობს ლექტორებთან შედეგების შემდგომ გაუმჯობესებაზე. ექსპერტთა პანელმა ნახა ნიშნების განაწილების

დეტალური ანალიზი ზოგად უნარ-ჩვევებში, ერთ-ერთი სამედიცინო კურსის ფარგლებში. „მონიტორინგის მექანიზმები და სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი“-ს დოკუმენტის მიხედვით, ლექტორებს მოეთხოვებათ გამოიყენონ ნიშნების განაწილება გაუსის მიხედვით შეფასების 50%-სა და 100%-ის ინტერვალს შორის, რაც უნივერსიტეტის მიერ მიჩნეულია ნორმად. ექსპერტთა პანელმა ვერ მიიღო მკაფიო პასუხი, თუ რატომ იქნა არჩეული ზემოხსენებული სტატისტიკური მიდგომა უნივერსიტეტის მიერ. ყოველ სემესტრში სტუდენტებს აქვთ სხვადასხვა სახის შუალედური შეფასებები და იღებენ გამოხმაურებას ამ შეფასებებზე, რაც ეხმარება მათ შემდგომ გაუმჯობესებაში. კურსის ჯამური შეფასება მოიცავს შუალედურ შეფასებების და ფინალური გამოცდის შედეგებს, შეფასებულს განსაზღვრული სქემის შესაბამისად, რომელიც მოიცავს A–დან F-მდე შეფასებებს. უზრუნველყოფილია დამატებით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა. სამედიცინო პროგრამაზე შეფასების სტრატეგია ჯერ კიდევ შემუშავების სტადიაშია, კერძოდ - კლინიკურ ფაზაში, თუმცა OSCE და OSPE შემოღებულია. ახალი ეროვნული კურიკულუმი შემოღებულ იქნება 2019 წლის იანვრიდან და მოითხოვს მიდგომას ინტეგრირებული სწავლებისა და შეფასებისადმი, რაც ამჟამად შეზღუდულია. ახალი კლინიკური შეფასებები, როგორიცაა OSCE და Mini Cex უნდა გაგრძელდეს. კსუ-ს გააჩნია ნიშნების ან შეფასებების გასაჩივრების მკაფიო სისტემა. პროცესი, როგორც წესი, იწყება ლექტორიდან. ამის შემდეგ, თუ საჭიროა იგი მიდის დეკანატში, სადაც საკითხი ხშირად გვარდება. თუ არა, იგი გადადის სტუდენტთა მომსახურების ცენტრში, რომელიც მიმართავს საჩივარს სააპელაციო კომიტეტში. სტუდენტები, რომლებიც შეხვდნენ ექსპერტთა ჯგუფს, ადასტურებენ, რომ მათ იციან ამ სისტემის შესახებ, რომელსაც ისინი თვლიან მისაღებად, რეაგირებად და მხარდამჭერად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები პროგრამის სპეციფიკაციები მონიტორინგის მექანიზმები და სტუდენტთა მოსწრების ანალიზი 3.6.4. სწავლის შედეგების ანალიზი ინტერვიუები აკადემიური პროცესის მენეჯმენტის სამსახურთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, სტუდენტთა მომსახურების ოფისთან, საგამოცდო ცენტრთან, პედაგოგებთან, სტუდენტებთან
რეკომენდაციები: არცერთი
რჩევები: არცერთი
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არცერთი
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

4. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

4.1. პერსონალის მართვა
o უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას. o უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
კსუ-ს გააჩნია პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები; ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი მუდმივად ავითარებს პერსონალის მართვის პოლიტიკას. კერძოდ, იგი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და პროგრამის კოორდინატორებთან ერთად შეიმუშავებს სტრატეგიებს არჩეული და დანიშნული პერსონალის შესანარჩუნებლად. კსუ-ს აქვს აკადემიური პერსონალის, მათ შორის აფილირებულის, დანიშვნის შესახებ სპეციალური რეგულაციები, მკაფიო პროცედურები და ანგარიშგების სისტემა, რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონს უმაღლესი განათლების შესახებ. მოწვეული ლექტორები წარმოადგენენ მითითებულ სფეროებში სათანადო კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების მქონე სპეციალისტებს. აკადემიური და მოწვეული პერსონალის კომპეტენციაზე მეტყველებს მათი სამეცნიერო პუბლიკაციები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში. სტომატოლოგიის მოწვეული პერსონალი უნდა იყოს სერტიფიცირებული ექიმი, ხოლო მედიცინისათვის - სერტიფიცირებული ექიმი კლინიკური გამოცდილებით ბოლო 5 წლის განმავლობაში. ინტერნაციონალიზაციის გასაძლიერებლად პრიორიტეტულია ადგილობრივ მაღალკვალიფიციურ აკადემიურ პერსონალთან ერთად უცხოელ პროფესორთა ჩართვა აკადემიურ პროცესებში. აქედან გამომდინარე, კსუ ატარებს საჯარო კონკურსს უცხოელი პროფესორებისათვის. 2018 წლის გაზაფხულზე ჩატარებული კონკურსის შედეგად დასაქმებულ იქნენ მაღალკვალიფიციური უცხოელი პროფესორები. კსუ-ს აქვს მკაფიო კონტრაქტები მითითებული მოვალეობებითა და ხელფასებით, რომლებიც განსაზღვრულია "აკადემიური პერსონალის რანჟირებისა და ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასის რანჟირების წესის" საფუძველზე. პერსონალის მოტივირებისათვის გამოიყენება პროფესიული განვითარება, ხელშეწყობა, ფინანსური წახალისება, სოციალური დახმარება და ტრენინგი, მათ შორის ფინანსური დახმარება პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებლად. როგორც შემდგომში - მე-7 სტანდარტში იქნება აღნიშნული, გამოიყოფა ფინანსური დახმარება კვლევებზე. ტრენინგი უტარდებათ პროფესიული განვითარების, სწავლების და შეფასების აქტივობების ხელშესაწყობად, მათ შორის სპეციალიზაციაზე მედიცინაში, როგორც ეს აღინიშნა 3.2-ში. პერსონალის შესაფასებლად ადამიანური რესურსების დეპარტამენტი იყენებს პერსონალის თვითშეფასებას, ხელმძღვანელის შეფასებას, ინტერვიუს, ტესტებისა და სხვადასხვა კვლევების შედეგებს. პერსონალის საერთაშორისო მობილობას ხელს უწყობს Erasmus+ გაცვლითი პროგრამა; გასული აკადემიური წლის განმავლობაში 12 აკადემიური და მოწვეული პერსონალი და 10 ადმინისტრაციული პერსონალი იყო ჩართული მობილობაში. ენების ცენტრი უზრუნველყოფს პერსონალის ტრენინგს, რომლის ხარჯებსაც ფარავს კსუ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები
დანართი 4.8 1 აკადემიური პერსონალის რანჟირების წესი დანართი 2.1.3 უსდ-ს სტრუქტურული ერთეულების დებულებები დანართი 2.1.5 ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის კონტრაქტების ნიმუშები დანართი 2.1.10 ადამიანური რესურსების მენეჯმენტის პოლიტიკა და მექანიზმები დანართი 2.1.14 Erasmus+ მობილობა დანართი 4.1.1 აკადემიური პერსონალის კონკურსის დოკუმენტაცია დანართი4.1.2 ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების კვლევა 2017–2018წწ

ინტერვიუები ადამიანური რესურსების მენეჯმენტის სამსახურთან, იურიდიულ სამსახურთან, უფროს პერსონალთან, აკადემიურ საბჭოსთან, პედაგოგებთან, სხვა პერსონალთან
რეკომენდაციები: არცერთი
რჩევები: არცერთი
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): კსუ მნიშვნელოვან დაფინანსებას გამოყოფს პერსონალის განვითარებაზე, მათ შორის უცხო ენის კომპეტენციის განვითარებაზე
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.
4.2. აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა
უსდ-ის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უსდ-ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების/სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ადეკვატურია.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აკადემიური პერსონალის რანჟირების წესი განსაზღვრავს სხვადასხვა კატეგორიის აკადემიური პერსონალის სამუშაოსა და ყოველკვირეულ საკონტაქტო საათებს. საერთო დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 40 საათს კვირაში. კსუ-ის მიერ ექსპერტთა ჯგუფისათვის მოწოდებული მონაცემები აჩვენებს კათედრებად დაყოფილ ყველა აკადემიური პერსინალის საერთო საათობრივ დატვირთვას სემესტრში დაყოფით - ლექცია/სემინარი/პრაქტიკული, შუალედური/საბოლოო გამოცდები, კონსულტაციები, პროგრამის შემუშავება, დოქტორანტების ხელმძღვანელობა, მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა, კსუ-ში ადმინისტრაციული პოზიციები და დატვირთვას სხვა უსდ-ებში. დატვირთვა მოიცავს კვლევის ნაწილს, რომელიც დაკავშირებულია სტუდენტის ხელმძღვანელობასთან, თუმცა სამეცნიერო პროდუქტიულობა ფასდება ცალკე. ეს მექანიზმები უზრუნველყოფს, რომ კსუ-ს აქვს სრული სურათი პერსონალის სწავლების, ადმინსიტრაციული და კვლევითი დატვირთვის შესახებ. აკადემიურმა პერსონალმა, რომელიც შეხვდა ექსპერტთა ჯგუფს, აღნიშნა, რომ ზოგადად ისინი ეთანხმებიან თავიანთ დატვირთვას. სტუდენტთა საერთო შეფარდება აკადემიურ პერსონალთან შედაგენს 18:1, პროგრამებთან დაკავშირებული გარკვეული ვარიაციებით. კსუ, ასევე იწვევს პერსონალს არასრული დატვირთვის სასწავლებლად სფეროებში, რომლებშიც პროგრამის ფუნქციონირებისათვის საჭიროა პრაქტიკული გამოცდილება, მაგალითად 3.2 კომპონენტში უკვე მოყვანილი მედიცინა. სტუდენტებს, რომლებიც შეხვდნენ ექსპერტთა ჯგუფს, არ ჰქონდათ რაიმე პრეტენზია ჯგუფების სიდიდესთან დაკავშირებით და მიიჩნევენ აკადემიურ პერსონალს მუდმივად მზადყოფნაში მათი კონსულტირებისათვის. საერთო ჯამში, კადრებით უზრუნველყოფისა და დატვირთვის დონეები სწავლებისა და კვლევებისათვის სრულიად ადეკვატურია და კსუ გეგმავს მეტი აკადემიური პერსონალის აყვანას. ექსპერტთა ჯგუფმა შეამჩნია, რომ ყველა დონის პერსონალი უაღრესად მოტივირებულია გაუმჯობესებაზე და ამისათვის, მათ გააჩნიათ საჭირო ხედვა და შესაფერისი ბიუჯეტი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები დანართი 1.1.1 კსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა (2018-2025წწ) დანართი 1.1.9 კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიუჯეტი (2018წ)

დანართი 1.2.2 კსუ-ს სამწლიანი სამოქმედო გეგმა (2018-2020წწ) დანართი 2.1.5 ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის კონტრაქტების ნიმუშები დანართი 2.1.6 აკადემიური პერსონალის რანჟირების წესი დანართი 2.1.7 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის რეგულაცია დანართი 4.2.1 აკადემიური პერსონალის პირადი მონაცემები დანართი 4.2.3 აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კვლევის შედეგები დანართი 4.2.8 სემესტრული დატვირთვის ინდივიდუალური ცხრილი (აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის ფაკულტეტების მიხედვით) დანართი 6.1.1 სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სისტემა ინტერვიუები ადამიანური რესურსების მენეჯმენტის სამსახურთან, იურიდიულ სამსახურთან, დეკანებთან, აკადემიურ საბჭოსთან, პედაგოგებთან, სხვა პერსონალთან
რეკომენდაციები: არცერთი
რჩევები: არცერთი
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არცერთი
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები.

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვებისა და ცვლილების წესი, და განათლების აღიარება, სტუდენტის უფლებები
o უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები. o უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტს გააჩნია სტუდენტის სტატუსის მინიჭების, შეჩერებისა და შეწყვეტისათვის საჭირო ყველა რეგულაცია; ისინი გამჭვირვალე და სამართლიანია და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. ეს დოკუმენტები საჯარო და ხელმისაწვდომია. ასევე, სამართლიანია კრედიტების აღიარება. ერთ-ერთი სტუდენტი, რომელიც შეხვდა ექსპერტთა ჯგუფს, კსუ-ში გადმოსული იყო უცხოური უნივერსიტეტიდან. მან განაცხადა, რომ კრედიტების აღიარების პროცედურები იყო სამართლიანი და კსუ-მ უზრუნველყო იგი ინდივიდუალური სასწავლო გეგმით. სტუდენტები იცნობენ ეთიკის კოდექსს და უნივერსიტეტის შიდაგანაწესს. სტუდენტთა კონტრაქტები კსუ-სთან (მათ შორის უცხოელ სტუდენტთა) იცავს მათ უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. ჯგუფთან შეხვედრაზე სტუდენტები ამბობენ, რომ კონტრაქტზე ხელის მოწერისას მათ გააცნეს თავიანთი უფლებები.

კსუ-ს გააჩნია სტუდენტთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. სტუდენტებმა იციან, რომ მათ შეუძლიათ გაასაჩივრონ ნებისმიერი საკითხი და მიიღონ პასუხი კსუ-საგან. გასაჩივრება შეიძლება გამოწვეული იყოს მიღებული შეფასებით ან დაკავშირებული იყოს პერსონალის მუშაობით გამოწვეულ უკმაყოფილობასთან. რეაგირება საკმაოდ სწრაფია, როგორც წესი, შესაბამისი პერსონალის ან დეკანის მხრიდან. სტუდენტთა წევრობა ფაკულტეტის საბჭოში (მაგრამ არა აკადემიურ საბჭოში) აძლევს მათ ხმის უფლებას და ეხმარება ინტერესების დაცვაში. უცხოელი სტუდენტები აღნიშნავენ, რომ ატმოსფერო ძალიან მეგობრულია. კსუ ეხმარება მათ ნებისმიერ პრობლემასთან დაკავშირებით, მათ შორის ზოგიერთი პერსონალის დახმარება საგრძნობლად სცილდება მათი მოვალეობების ფარგლებს. უცხოელ სტუდენტებს სურთ ახლო ურთიერთობები ქართველ სტუდენტებთან, როგორც სოციალურად (სადაც მათ ექნებათ საშუალება წარმოაჩინონ თავიანთი კულტურა), ისე აკადემიურად (სადაც ისინი გაუზიარებენ თავიანთი პროგრამების ღირებულებას ქართველ სტუდენტებს). ურთიერთობების ამგვარი განვითარება ხელს უწყობს 'სახლში ინტერნაციონალიზაციასა' და ქართველი სტუდენტების გამოცდილების გაფართოებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები შიდაგანაწესი; ეთიკის კოდექსი სტუდენტთა კონტრაქტები კსუ-სთან აკადემიური პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტები სტუდენტთა კონტინგენტის და სტუდენტური გარემოს დაგეგმვის წესი ინტერვიუები აკადემიური პროცესის მენეჯმენტის სამსახურთან, იურიდიულ სამსახურთან, სტუდენტებთან, სტუდენტურ თვითმმართველობასთან
რეკომენდაციები: არცერთი
რჩევები: კსუ-მ უნდა გააძლიეროს უცხოელ სტუდენტთა გამოცდილება ქართველ სტუდენტებთან მათი ურთიერთობების განმტკიცების გზით.
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არცერთი
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.
5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები
o სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება. o უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით. o უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას. o უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კსუ-ს სტუდენტები იღებენ საჭირო კონსულტაციებს და დახმარებას მათი საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვაში. თუ საჭიროა, კსუ უზრუნველყოფს მათ ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით. აკადემიური პერსონალი სთავაზობს საკონსულტაციო საათებს, რომლებიც

მითითებულია კურსის სილაბუსში. სტუდენტები, რომლებიც შეხვდნენ ექსპერტთა ჯგუფს, აღნიშნავენ, რომ პერსონალი ადვილად ხელმისაწვდომია სამუშაო საათების შემდეგაც სისტემა GONI-ს მეშვეობით ან ელ-ფოსტით. კსუ-მ ასევე, წამოიწყო საექსპერტო მენტორობის პროგრამა, რომელშიც ბოლო წლის სტუდენტები ეხმარებიან ახალ სტუდენტებს. სტუდენტები კარგად იცნობენ კსუ-ს კარიერული განვიტარების ოფისს. ის ატარებს სამუშაო ბაზრობებს და სტუდენტები ინფორმირებულნი არიან ვაკანსიებზე. მომსახურება ეხმარება სტუდენტებს მათი CV და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტების მომზადებაში, როგორც ეს მითითებულია ამ დეპარტამენტის დებულებაში. დამსაქმებლები, რომლებსაც შეხვდა ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავენ, რომ მათ აქვთ მტკიცე ურთიერთობა უნივერსიტეტთან. მათ რჩევებს ხშირად იღებენ და როგორც წესი ითვალისწინებენ. კსუ-მ გაითვალისწინა ერთ-ერთი დამსაქმებლის რეკომენდაცია, რომ შეეძინა კომერციული სასტუმროს რეზერვაციის პროგრამა რათა გაეუმჯობესებინა ტურიზმის კურიკულუმი და მოგვიანებით ექსპერტთა ჯგუფმა გაიგო, რომ ამან მისცა ტურიზმის სტუდენტებს კონკურენტული უპირატესობა შრომით ბაზარზე. სტუდენტები ინფორმირებულნი არიან კსუ-ს სხვადასხვა მობილობის პროგრამების შესახებ და მათი უმეტესობას, რომლებიც შეხვდა ჯგუფს, მონაწილეობა აქვთ მიღებული საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში. სტუდენტური თვითმმართველობა ხელს უწყობს ექსტრაკურიკულურ აქტივობებს და ქმნის ახალი ინტერესების კლუბის დაარსების პირობებს. სტუდენტური თვითმმართველობა, ასევე, უზრუნველყოფს კავშირს სტუდენტებსა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას შორის. კსუ რეგულარულად ეხმარება სტუდენტურ ინიციატივებს ფინანსურად მას შემდეგ, რაც განიხილება სტუდენტური თვითმმართველობისა და დეკანატის მიერ. უნივერსიტეტ სტიპენდიებით უზრუნველყოფს სტუდენტებს, მათ შორის უცხოელებსაც. იგი სთავაზობს სწავლის გადასახადის შემცირებას დედ-მამის შვილებს, გადასახადი შესაძლოა გადახდილ იქნეს ნაწილ-ნაწილ. სტუდენტებმა, რომლებიც შეხვდნენ ექსპერტთა ჯგუფს, აღნიშნეს, რომ ისინი იყენებენ და მიესალმებიან ამ შეღავათებს. კსუ-მ მიაწოდა ექსპერტთა ჯგუფს დოკუმენტაცია სხვა ინიციატივების შესახებ, რომლებიც ეხმარებიან სოციალურად დაუცველ სტუდენტებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები დეპარტამენტების დებულებები გაცვლითი პროგრამების სტატისტიკა საქმიანობა სოციალურად დაუცველ სტუდენტთა დასახმარებლად ინტერვიუები სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პედაგოგებთან, კარიერული განვითარების ოფისთან, დამსაქმებლებთან
რეკომენდაციები: არცერთი
რჩევები: არცერთი
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არცერთი
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უსდ, სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

6.1 კვლევითი საქმიანობა
o უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას. o სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა. o უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი შეჯამება და ანალიზი საანგარიშო პერიოდში კსუ-მ განახორციელა კვლევების მოკრძალებული რაოდენობა, მხოლოდ 9 სადოქტოროს დაცვით უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში, თუმცა გასული წლის განმავლობაში მან მიიღო ზომები მიდგომის სისტემიზაციისათვის. მისიის შესაბამისად უნივერსიტეტმა გახადა კვლევები და ინოვაციური აქტივობები მნიშვნელოვან სტრატეგიულ მიმართულებად, რომლის მიზანია კვლევითი აქტივობების, საერთაშორისო თანამშრომლობის და პუბლიკაციების, მაღალი ხარისხის სტანდარტების, ინტერგირებული კვლევებისა და სწავლების ხელშეწყობა. კერძოდ, მისი კვლევითი სტრატეგია ეხება რამდენიმე საფინანსო ინიციატივას: გრანტებს ფუნდამენტური კვლევისათვის, თანადაფინანსებას გარე გრანტების მხარდასაჭერად, საერთაშორისო კვლევითი თანამშრომლობის ხელშეწყობას, რჩევებისა და ტრენინგების შეთავაზებას, გრანტების დაცვასთან დაკავშირებული ხარჯების უზრუნველყოფას. სამედიცინო სკოლას ამჟამად არ აქვს ზუსტი კვლევითი სტრატეგია, მაგრამ არსებობს კვლევითი საქმიანობა და მცირედი საბაზისო მეცნიერების კვლევა. ეს არის განსავითარებელი სფერო. კსუ აჩვენებს მნიშვნელოვან კვლევით პოტენციალს. მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა კვლევების განვითარებისათვის, მათ შორისაა ყოველწლიური საუნივერსიტეტო კონფერენციები; კვლევითი პროექტები კომერციულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობაში; მრგვალი მაგიდები; სტუდენტებისა და პერსონალის საკონფერენციო მასალების პუბლიკაცია; საკუთარი კვლევითი ჟურნალის გამოქვეყნება; ახალი შიდა გრანტების სისტემის შემოღება, რომელიც ორიენტირებული იქნება კვლევის ინტეგრაციაზე სწავლებაში; ბაკალავრიატის სტუდენტების, ახალგაზრდა მკვლევარების და უცხოელ მეცნიერთა ჩართვა კვლევით პროექტებში და კვლევითი პორტალის დაარსება. შიდა გარანტების და კვლევის დახმარების სისტემის შესახებ ინფორმაცია ფართოდაა გავრცელებული აკადემიურ პერსონალში. შიდა გრანტის სისტემის ერთი მახასიათებელია მცირე და დიდი გრანტებად დაყოფა, სამიდან ორის წარმატების მაჩვენებლით მცირე გრანტებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ სისტემა ახალია, პროექტების მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე დაფინანსდა და 2017 წლიდან პრიზები კვლევების ეფექტიანობისათვის გადაცემულიცა არის. მისიის ხელშეწყობისათვის კსუ-მ შემოიღო კვლევითი კომპონენტი არა მხოლოდ სადოქტორო და სამაგისტრო, არამედ საბაკალავრო დონეზეც. თუმცა, ნაშრომის მომზადება არაა ბაკალავრის ხარისხისათვის სავალდებულო კომპონენტი. კვლევების დასახმარებლად კსუ-მ შემოიღო ცაკლე მდგომი კვლევითი უნარების კურსი საგანმანათლებლო პროგრამების თითოეულ დონეზე. ყველა დონის სტუდენტებისათვის კსუ-ს გააჩნია რეგულაციები, რომლებიც მოიცავს აკადემიურ კვლევას და ციტირების სტანდარტებს, ტექნიკურ და აკადემიურ მოთხოვნებს, წესებს კვლევითი ნაშრომის ხელმძღვანელობისათვის და სამეცნიერო ნაშრომის ხელმძღვანელის უფლებებსა და მოვალეობებს. ეს რეგულაციები შემუშავდა სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, პროგრამის კოორდინატორებთან და აკადემიურ პერსონალთან ერთად, კვლევების განვითარების თაობაზე კსუ-ს მიზნის გათვალისწინებით. წესები საშუალებას აძლევს სტუდენტებს

ამოირჩიონ გარე ხელმძღვანელები როგორც ადგილობრივად, ისე საზღვარგარეთ, რომელთაც აქვთ კვლევის სფეროში საჭირო კომპეტენცია და გამოცდილება; ამ შესაძლებლობის მხარდასაჭერად კსუ უზრუნველყოფს მოწვეული ხელმძღვანელის შრომის ანაზღაურებას. ეს წესები უზრუნველყოფენ კვლევის ხარისხს და კვლევის ახალ დარგებში სტუდენტის ინტერესების სწორად შეფასებას. კვლევითი ნაშრომის ხელმძღვანელობის გათვალისწინება ხდება აკადემიური პერსონალის დატვირთვების გაანგარიშებაში.

მიუხედავად იმისა, რომ კვლევითი ნაშრომის ხელმძღვანელობა იმართება ამ წესებითა და რეგულაციებით, დაკვირვებამ აჩვენა, რომ ზოგიერთი უკვე დაცული სადოქტორო ნაშრომი შეიცავდა სუსტ მხარეებს, ლიტერატურისა და ციტირების კუთხით, რომლებიც უნდა ყოფილიყო შემჩნეული ხელმძღვანელის მიერ (რომელმაც უნდა დაამტკიცოს ნაშრომი დაცვამდე). მაგალითად, ციტირების სტანდარტი ყოველთვის არ იყო დაცული და ტექსტში მითითებული ლიტერატურა შენიშვნებში არ იყო წარმოდგენილი; ხოლო ერთი თეზისი არ აღწერს კვლევის მეთოდოლოგიას, რომელზეც ციტირებული ნაშრომი იყო დაფუძნებული. ეს სისუსტეები ნიშნავს, რომ არსებული პრაქტიკით პლაგიარიზმის რისკი ჯერ კიდევ არაა გამორიცხული, თუმცა ექსპერტთა პანელს განუმარტეს, რომ ამ მიმართულებით ტრენინგი დაგეგმილია. კსუ-მ უნდა უზრუნველყოს, რომ დოქტორანტები სრულად ფლობდნენ აკადემიურ აკადემიური პატიოსნებასა და ციტირების სტანდარტებს და რომ ტრენინგებით კვლევების ხელმძღვანელობაში მათ გაცნობიერებული ჰქონდეთ საკუთარი პასუხისმგებლობის სტუდენტის მიერ ამ წესების დაცვაზე.

კსუ-მ ასევე, უნდა მიიღოს ზომები თანამედროვე კვლევითი ლიტერატურის ციტირების გასაზრდელად და საერთაშორისო სამეცნიერო მონაცემთა ბაზების გამოსაყენებლად აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტების მიერ წარმოებულ სამეცნიერო ნაშრომებში. ეს იქნება იმის გარანტია, რომ თანამედროვე კვლევები სათანადოდ იქნება ასახული მათ სამეცნიერო პუბლიკაციებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

დანართი 1.1.9 კსუ-ს 2018 წლის ბიუჯეტი

დანართი 4.2.2 მეცნიერული განვითარების სტრატეგია

დანართი 6.1.1 ეკონომიკურ აგენტებთან დადებული მემორანდუმი თანამშრომლობაზე

დანართი 6.1.2 სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებები

დანართი 6.1.3 დოქტორანტთა გზამკვლევი

დანართი 6.1.4 კსუ-ს სამეცნიერო პორტალი www.research.ciu.edu.ge

დანართი 6.1.5 საუნივერსიტეტო პუბლიკაციები, მიმდინარე და დაგეგმილი კვლევები

დანართი 6.1.6 კვლევის რეზიუმეები

დანართი 6.1.7 კსუ-ს კონკურსების მარეგულირებელი დოკუმენტები და შედეგები

დანართი 6.1.8 აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობები

დანართი 6.1.9 ტრენინგები

ინტერვიუები სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტთან, სამეცნიერო პერსონალთან, აკადემიურ პერსონალთან, კვლევების ხელმძღვანელებთან, დოქტორანტებთან

რეკომენდაციები: კსუ-მ უნდა უზრუნველყოს, რომ კვლევების ხელმძღვანელები იყვნენ გადამზადებულნი, რათა შეამოწმონ სტუდენტთა კვლევითი ნაშრომებისა და პუბლიკაციების სრული შესაბამისობა აკადემიურ სტანდარტებთან.

რჩევები: კსუ-ს შეუძლია შეიმუშაოს სამედიცინო სკოლისათვის მკაფიო კვლევითი სტრატეგია.

საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არცერთი

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია

- უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა.
- ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში.
- უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კსუ-ს შემუშავებული აქვს მოქნილი დაფინანსების სისტემა კვლევების განვითარების ხელშეწყობისათვის, კვლევითი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისათვის და პერსონალის კვლევების ეფექტიანობის გაზრდისათვის. უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებულ კვლევებსა და პროექტებში მონაწილეობა ხელმისაწვდომია არა მხოლოდ აკადემიური პერსონალისათვის, არამედ მოწვეული პერსონალის, პოსტ-დოქტორანტების, დოქტორანტების, მაგისტრანტებისა და ბაკალავრიატის სტუდენტებისათვისაც. უცხოელ მკვლევართა მოსაზიდად და მათი კსუ-ს კვლევებში ინტეგრირების მიზნით, სისტემა საჭიროებს, რომ შიდა გრანტების უმეტესობამ მოიზიდოს უცხოელი ექსპერტები ან ინსტიტუციები, რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯია ინტერნაციონალიზაციისაკენ. კვლევითი აქტივობების ინტეგრაცია სწავლებაში, ასევე, წარმოადგენს კრიტერიუმს შეფასების პროცესში. კსუ სთავაზობს ხარჯების გაზიარებას და თანადაფინანსებას მეცნიერთა წასახალისებლად საგრანტო წინადადებების წარდგენაში გარე სააგენტოებში, როგორც ადგილობრივად, ისე საერთაშორისო მასშტაბით, სადაც საგრანტო განაცხადები უკვე გაგზავნილია. თანადაფინანსების ბიუჯეტი მნიშვნელოვანია და წარმოადგენს კვლევის დახმარების ეფექტიან მექანიზმს. კსუ ხელს უწყობს უცხო ენების ცოდნას მის პერსონალში უფასო ინგლისური ენის კურსების შეთავაზებით, რაც ასევე, შესაძლოა განხილულ იქნეს აკადემიური პერსონალის საერთაშორისო კვლევით პროექტებში და სასწავლო მობილობაში ჩართვის ხელშეწყობის მექანიზმად.

ადრე კვლევების დახმარება ხორციელდებოდა მხოლოდ ფაკულტეტის დონეზე, მაგრამ ახლა ახალი სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტი აფასებს საგრანტო განაცხადებს და მათ შესაბამისობას არსებულ სტანდარტებთან, ფაკულტეტის საბჭოების რეკომენდაციების მიხედვით. მართალია, საგრანტო სისტემის ადმინისტრაცია ცენტრალიზებულია, მაგრამ ფაკულტეტის დონეზე განსაზღვრული ინტერესები და პრიორიტეტები ჯერ კიდევ გადამწყვეტია. ფუნქციების ეს კომბინაცია და ბალანსი უზრუნველყოფს კვლევების დახმარების სწორ განხორციელებას კსუ-ში.

დეპარტამენტი ახდენს ინდივიდუალური კონსულტაციების, საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზებას და შიდა და გარე საგრანტო შესაძლებლობებისა და კვლევითი სტიპენდიების თაობაზე ინფორმაციის ეფექტურ გავრცელებას. იგი უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის ტრენინგს კვლევითი წინადადებებისა და ფინანსირებაზე აპლიკაციების მომზადებაში და უზრუნველყოფს ტექნიკურ გზამკვლევობას საგრანტო მიმართვის პროცედირებში. იგი, ასევე, უზრუნველყოფს ტექნიკურ გზამკვლევობას საერთაშორისო სამეცნიერო მონაცემთა ბაზების და ელექტრონული რესურსების გამოყენებაში, რომელმაც უნდა გაზარდოს უცხოურ სამეცნიერო რესურსების მოხსენიება კვლევით ნაშრომებში.

გამოყოფილი სახსრებია კსუ-ს კვლევითი პრიორიტეტების ადეკვატურია, მათ შორის ახალგაზრდა მკვლევართა მოტივირებისა და ახალ მეცნიერთა მოსაზიდად. 2018 წელს

კვლევებზე ბიუჯეტი გაიზარდა 5%-დან 6.6%-მდე, რათა დაეხმაროს შიდა საგრანტო სისტემას და კვლევების წამახალისებელ სხვა მექანიზმებს, თუმცა როგორც 7.4 კომპონენტშია ნახსენები, საჭიროა ბიუჯეტის კიდევ უფრო გაზრდა კსუ-ს მისწრაფებების განხორციელებისათვის. სისტემა, ასევე, მოიცავს პოსტ-სადოქტორო გრანტებს ახალგაზრდა მეცნიერთა მოსაზიდად, რომლებიც დაეხმარებიან კსუ-ს კვლევითი პრიორიტეტების განვითარებას და ზოგიერთი მათგანი გახდა კსუ-ს აკადემიური პერსონალი. საგრანტო გადაწყვეტილებები მიიღება საჯაროდ, ობიექტურად და გამჭვირვალედ, გარე მოწვეული შემფასებლების მეშვეობით ქვეყნის სხვა აკადემიური ცენტრებიდან და უსდ-ებიდან. კსუ უზრუნველყოფს ფინანსური დახმარებით საერთაშორისო სტუდენტურ კონფერენციებს, კონფერენციის მასალების პუბლიკაციას და სახელმძღვანელოებისა და მონოგრაფიების თარგმნას. იგი ეხმარება დოქტორანტებს საზღვარგარეთ მათი კვლევითი ვიზიტების დაფინანსებით და შიდა საგრანტო სტიპენდიების გაცემით კვლევის სათანადო განხორციელების მიზნით.

კსუ-ს იდენტიფიცირებული აქვს, რომ იგი საჭიროებს მეტ სამეცნიერო პუბლიკაციებს საერთაშორისო ჟურნალებში და მეტი საერთაშორისო კვლევების ფინანსირების მოზიდვას. ამისათვის მას შემოღებული აქვს ფინანსური მექანიზმები საერთაშორისო რეფერირებად და მაღალი კატეგორიის ჟურნალებში პუბლიკაციების წასახალისებლად; საერთაშორისო სამეცნიერო მონაცემთა ბაზებზე წვდომის შესაძენად; და უცხოურ ინსტიტუციებთან ერთობლივი კვლევითი პროექტების თანადაფინანსების უზრუნველსაყოფად. კვლევის ინტერნაციონალიზაციის დასახმარებლად კსუ ასევე საჭიროებს ბიბლიოთეკაში უცხოური სამეცნიერო ლიტერატურის რაოდენობის გაზრდას.

კსუ-ს კვარტალური ჟურნალი Caucasus International University Herald, ქართველ და უცხოელ მეცნიერთაგან შემდგარი სარედაქციო კოლეგიით, არაა ინდექსირებული არც ერთ საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით მონაცემთა ბაზაში. იგი აქვეყნებს კონფერენციის მასალებს კსუ-დან და სხვა უსდ-ების სტუდენტებისაგან. მისი კვლევების შემდგომი ინტერნაციონალიზაციისათვის, კსუ-მ უნდა გააგრძელოს მუშაობა აკადემიური პუბლიკაციების შესატანად საერთაშორისო მონაცემთა ბაზებში და უნივერსიტეტის ჟურნალებისა და პუბლიკაციების ინდექსირებაზე Google Scholar-ში. კსუ მიიჩნევს, რომ შესაბამის ჟურნალებში გამოქვეყნება პრიორიტეტულია, თუმცა ეს გარემოება ვერ უწყობს აკადემიური პერსონალის მიერ მაღალრეიტინგულ საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებას.

უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები რიგ საჯარო და კერძო ინსტიტუციებთან და სხვადასხვა ქვეყნის უცხოელ აკადემიურ პარტნიორებთან. მისიის მხარდასაჭერად კსუ საჭიროებს პოტენციური ახალი ეროვნული და საერთაშორისო პარტნიორების იდენტიფიცირებას, რომლებიც შეესაბამება მის კვლევით პრიორიტეტებს, ინსტიტუციური თანამშრომლობის განვითარება მეტ საერთაშორისო სამეცნიერო ცენტრთან და საერთაშორისო კვლევითი პროექტების პროპორციის გაზრდა, რომლებშიც ჩართულნი არიან უცხოელი მეცნიერები.

მართალია, კსუ მუშაობს ინივაციური და დამწყები კომპანიების მხარდასაჭერად, მას როგორც ჩანს, არ გააჩნია მისი კვლევებისა და განვითარებისაგან შემოსავლების მიღებისა და გაზიარები პოლიტიკა. ძალიან ხელსაყრელი იქნებოდა კსუ-სათვის იმის შესწავლა, თუ როგორ შეიძლება მისი ინტელექტუალური საკუთრებიდან სარგებლის მიღება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

დანართი 1.1.9 უნივერსიტეტის ბიუჯეტი
დანართი 6.1.7 კსუ-ს კონკურსის მარეგულირებელი დოკუმენტი და შედეგები
დანართი 6.1.11 სამეცნიერო მოგზაურობის დაფინანსების დოკუმენტი
დანართი 6.1.12 თანადაფინანსების დამადასტურებელი დოკუმენტები

დანართი 6.1.13 შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდში წარდგენილი და გამარჯვებული პროექტები ინტერვიუები უფროს პერსონალთან, სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტთან, სამეცნიერო პერსონალთან, აკადემიურ პერსონალთან, კვლევების ხელმძღვანელებთან, დოქტორანტებთან, ფინანსურ სამსახურთან, ბიბლიოთეკასთან
რეკომენდაციები: კსუ-მ უნდა გააგრძელოს მისი ინტერნაციონალიზაციის პროგრამა (1) სამეცნიერო ცენტრებთან მეტი თანამშრომლობის განვითარებით და მეტი საერთაშორისო დაფინანსების მოპოვებით, და (2) მისი პუბლიკაციების საერთაშორისო ხილვადობის გაუმჯობესების მექანიზმების შემოღებით.
რჩევები: კსუ-ს შეუძლია გააუმჯობესოს მისი კვლევების საერთაშორისო კონტექსტი მეტი უცხოური სამეცნიერო ლიტერატურისა და ელექტრონული მონაცემთა ბაზების ხელმისაწვდომობის გაზრდით.
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არცერთი
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.
6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება
უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კსუ-ს შემუშავებული აქვს აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვლევითი აქტივობის შეფასების მექანიზმები, პროცედურები, ინდიკატორები და რეგულაციები. მას შემოღებული აქვს შესაბამისი ფინანსური მექანიზმები კვლევის ზემოქმედების წასახალისებლად, რაც ძირითადად იზომება საერთაშორისო პუბლიკაციების რაოდენობით რეფერირებად და ინდექსირებულ ჟურნალებში სამეცნიერო კვლევითი მონაცემთა ბაზების შესაბამის სპექტრში; მონაწილეობით საერთაშორისო საგრანტო და ერთობლივ კვლევით პროექტებში და მონოგრაფიების პუბლიკაციით. იგი წარმოადგენს მკაფიო სისტემას, რათა შეაფასოს და გააუმჯობესოს ხარისხი და გაზარდოს მისი კვლევისა და მასთან დაკავშირებულ საქმიანობა საერთაშორისო კონტექსტში. კსუ უზრუნველყოფს ამ სისტემის სათანადო დანერგვას და ფართოდ გავრცელებას მის მკვლევართა შორის. კსუ მოითხოვს აკადემიური პერსონალისაგან რეგულარულ ანგარიშებს მათი კვლევების თაობაზე, მტკიცებულებათა მხარდაჭერით და საკუთარი პროგრესისა და მიღწევების კრიტიკული შეფასებით. იგი აღიარებს პუბლიკაციების მნიშვნელობას ინდივიდუალური აკადემიური პერსონალის და შესაბამისად, თავად უნივერსიტეტის კვლევის პროფილის განვითარებაში. ამას ხელი შეეწყობა აკადემიური პერსონალის გამოწვევით, რომ შეასრულონ უფრო მოთხოვნადი სამუშაო, რომელიც შეიძლება გამოქვეყნდეს მაღალ-რეიტინგულ საერთაშორისო ჟურნალებში; კსუ-ს ჟურნალში გამოქვეყნებული პუბლიკაციები იძლევა აკადემიური წერის გამოცდილებას, მაგრამ უფრო უნდა გახდეს საფუძველი შემდგომი პუბლიკაციებისათვის, ვიდრე საბოლოო მიზანი. თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურის მეტი ციტირებისა და საერთაშორისო სამეცნიერო მონაცემთა ბაზების ფართო გამოყენების ხელშეწყობა აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტების მიერ გამოცემული სამეცნიერო პუბლიკაციებში დაეხმარება იმის უზრუნველყოფას, რომ ისინი სწორად ასახავენ თანამედროვე კვლევის მიღწევებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები დანართი 6.1.5 საუნივერსიტეტო პუბლიკაციები, მიმდინარე და დაგეგმილი კვლევები დანართი 6.1.6 კვლევის რეზიუმეები დანართი 6.1.8 აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობები დანართი 6.1.10 სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სისტემა ინტერვიუები უფროს პერსონალთან, სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტთან, სამეცნიეროპერსონალთან, აკადემიურ პერსონალთან, კვლევების ხელმძღვანელებთან
რეკომენდაციები: არცერთი
რჩევები: არცერთი
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არცერთი
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

7.1 მატერიალური რესურსები
o უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას. o დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა. o დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. o დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, კსუ ფლობს მთავარ შენობას 4500 კვ.მ. ფართით და კიდევ 7000 კვ.მ. ფართს იგივე მისამართზე (ლიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე). იგი ფლობს სარდაფს 270 კვ.მ. ფართით და კიდევ 3000 კვ.მ. ობიექტს იგივე მისამართზე (ლიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე). აკადემიური მიზნებისათვის გამოყენებული საერთო ფართი შეადგენს 9700 კვ.მ. და საერთო დამხმარე ფართია 4800 კვ.მ. როგორც ექსპერტთა ჯგუფმა ნახა, კსუ-მ განაახლა ძველი შენობები მაღალ სტანდარტით, ააშენა ახალი შენობა, და კიდევ მეტი იწყება ეხლა. ინვენტარი სხვადასხვა შენობაში შეესაბამება საგანმანათლებლო პროცესის მოთხოვნებს. კსუ-ს აქვს ყველა საჭირო ფართი: ფოიე, სარეკრეაციო სივრცეები, საკლასო ოთახები თეორიული სწავლებისათვის, ადმინისტრაციული ოფისები, ფართები ჯგუფური მუშაობისათვის, სან-ჰიგიენური კვანძები, ბიბლიოთეკა, პროგრამების სპეციფიკით გათვალისწინებული ლაბორატორიები, სამეცადინო საკლასო ოთახები და არქივი. სვადასხვა ერთეულების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრირების პროცესების ეფექტურ განხორციელებას. ექსპერტთა ჯგუფმა ნახა სალექციო და სასემინარო

ოთახები, სამკითხველო ოთახები,აღჭურვილი მულტი-მედია ცენტრი, ლაბორატორიები და მევენახეობის და მეღვინეობის პრაქტიკული მუშაობის ახალი კომპლექსი (როგორც თანამედროვე, ისე ტრადიციული), მათ შორის ღვინის დეგუსტაციის აუდიტორია. კონკრეტულად მულტი-მედია ცენტრი არის კარგად აღჭურვილი და სტუდენტებს აძლევს ინდუსტრიაში მუშაობის გამოცდილებას, მათ შორის ჩართვას ადგილობრივ სატელევიზიო არხში. ქიმიის ლაბორატორიაში ექსპერტთა ჯგუფს უთხრეს, რომ მათ ხელი უნდა მოაწერონ იმის დასტურად, რომ გაეცნენ და ეთანხმებიან ლაბორატორიის უსაფრთხოების ინსტრუქციას, წარმოდგენილს ქართულ და ინგლისურ ენაზე. თუმცა, კარგი გამოცდილების საპირისპიროდ, უსაფრთხოების ეს ინსტრუქცია ან გაფრთხილება არ იყო თვალსაჩინოდ წარმოდგენილი.

საგანმანათლებლო სივრცეები აღჭურვილია ყველა პროგრამისათვის საჭირო სიმძლავრეებით. სამედიცინო და სტომატოლოგიური პროგრამები, ძირითადი მეცნიერებები იყენებენ საერთო სიმძლავრეებს, ლაბორატორიებს, ბიბლიოთეკას და სხვ. სპეციალიზებული სიმძლავრეები მოიცავს სხვადასხვა ლაბორატორიებს და უნარების ცენტრებს, ისევე როგორც კლინიკური განთავსების ადგილებსა და სტომატოლოგიური უნარების ლაბორატორიას. კსუ-ს კამპუსთან ახლოს არის სტომატოლოგიური ობიექტი და სტომატოლოგიურ ცენტრს გააჩნია საფანტომო სწავლების კაბინეტი. მეორე სასწავლო წლიდან სტუდენტები სწავლობენ სტომატოლოგიურ კლინიკაში, რომელიც კარგად არის დაკომპლექტებული აკადემიური სტომატოლოგებით და უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის სტომატოლოგიური დახმარებით მოსახლეობას. ყველა ობიექტი დამაკმაყოფილებელია, მაგრამ სამედიცინო და სტომატოლოგიის პროგრამები საჭიროებენ მეტ ფართს და ლაბორატორიებს, მაგალითად OSCE პუნქტებს (ამჟამად, 6-დან 8-მდე), კლინიკური უნარების ცენტრი (მეტი ფართი და მანეკენები დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის 2019 წლის იანვრის სამიზნე ნიშნულის მოთხოვნების უკეთ გასათვალისწინებლად), ლაბორატორიები სამედიცინო პროგრამისათვის (მიკროსკოპები და ჰისტოლოგიის ლაბორატორია) და საფანტომო სწავლების კაბინეტები სტომატოლოგიისათვის.

კსუ-ს გააჩნია ელექტრო-ენერგიისა და წყლის შეუფერხებელი მიწოდება და გათბობის სისტემა. ყველა საკლასო ოთახს აქვს როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათება. სტუდენტთა და პერსონალის უსაფრთხოება უზრუნველყოფილია უსაფრთხოების გუნდის მიერ და ვიდეო მეთვალყურეობით როგორც შიდა, ისე გარე პერიმეტრზე. უცხო პირთა შესვლა ობიექტებში კონტროლდება შესასვლელებში, ხოლო პერიმეტრზე გადაადგილება ექვემდებარება უსაფრთხოების სამსახურის მონიტორინგს. კსუ-ს გააჩნია საგანგებო სიტუაციების მართვის რეგულაცია, რომელიც განსაზღვრავს საგანგებო სიტუაციებში განსახორციელებულ ქმედებებს.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს პირველი დახმარების სამედიცინო პუნქტი, რომელსაც ხელმძღვანელობს კვალიფიციური ექიმი; არსებული მედიკამენტები და საშუალებები უზრუნველყოფენ პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევას. ობიექტს მუდმივად მიეწოდება ცივი და ცხელი წყალი, ხოლო ვენტილაციისათვის გააჩნია ფანჯარა.

უნივერსიტეტის ყველა სივრცე ხელმისაწვდომია განსაკუთრებელი საჭიროებების მქონეპირებისათვის. შენობაში მოქმედ ლიფტებს აჰყავთ სტუდენტები ყველა სართულზე. სივრცეებში, სადაც არაა ლიფტები, შესაბამისი მომსახურება შესაძლებელია მიიღოთ პირველ სართულზე (მაგალითად, სტუდენტური მომსახურებები და კანცელარია). ხელმისაწვდომი ტუალეტები განაწილებულია შენობებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

დანართი 7.1.1 უძრავი ქონების ფლობის დოკუმენტი

დანართი 7.1.2 პირადი საკუთრების ფლობის დოკუმენტაცია

ინტერვიუები უფროს პერსონალთან, ფინანსურ სამსახურთან, მატერიალური რესურსების სამსახურთან, დაცვის სამსახურთან

ობიექტებზე ვიზიტი
რეკომენდაციები: კსუ-მ უნდა გამოყოს მეტი ფართი და აღჭურვილობა, რათა სამედიცინო და სტომატოლოგიურმა პროგრამებმა უზრუნველყოს საუკეთესო შედეგების მიღწევა და სრულად შეუწყოს ხელი 2019 წლის დიპლომირებული მედიკოსის მიზნობრივი ნიშნულებთან შესაბამისობას.
რჩევები: კსუ-ს შეუძლია გააუმჯობესოს უსაფრთხოების ზომები ლაბორატორიების შესასვლელში ქართულ და ინგლისურ ენებზე უსაფრთხოების ინსტრუქციების განთავსებით.
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): კსუ-ს კარგად აღჭურვილი მულტი-მედია ცენტრი აძლევს სტუდენტებს დარგში მუშაობის პრაქტიკულ გამოცდილებას.
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.
7.2. საბიბლიოთეკო რესურსები
ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კსუ მუდმივად მუშაობს მისი ბიბლიოთეკის რესურსებისა და მომსახურებების გაუმჯობესებაზე. 2018 წლის სექტემბერში მან გახსნა ახალი, გაფართოებული ბიბლიოთეკა, რომელიც ღიაა 60 საათი კვირის 6 დღის განმავლობაში. ბიბლიოთეკა მოიცავს წიგნების შესანახ სივრცეს, სამკითხველო ოთახს (ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობისათვის), ბიბლიოთეკის პერსონალის სამუშაო ფართს, სამეცადინო ფართებს აღჭურვილს შესაბამისი წიგნებით, კომპიუტერებით და კატალოგით. ბიბლიოთეკის ყველა მომსახურება ხელმისაწვდომია გადაადგილების სპეციალური საჭიროებების მქონე პირთათვის პანდუსების მეშვეობით. ბიბლიოთეკით სარგებლობის რეგულაციები და საინფორმაციო გზამკვლევები განთავსებულია თვალსაჩინო ადგილებში. ბიბლიოთეკაშია ინტერნეტთან დაკავშირებული 36 კომპიუტერი (დამატებით 31 ცალკე სამკითხველო ოთახში), ბეჭდვის, ასლის გადაღებისა და სკანირების მომსახურებები. ბიბლიოთეკაში უზრუნველყოფილია Wi-Fi კავშირი. ბიბლიოთეკაში სტუდენტებს შეუძლიათ წიგნების ელექტრონული ვერსიებით, ასლებითა და კომპაქტ-დისკებით სარგებლობა. პროგრამის სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურა ნაბეჭდი ან ელექტრონული ფორმით და დამხმარე მასალები ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში. ამჟამად, წიგნადი ფონდი შედგება 22,459 ერთეულისაგან: საგანმანათლებლო პროგრამების 17,208 სახელმძღვანელო და 5,251 ერთეული დამხმარე მასალა. თუმცა, საერთაშორისო სახელმძღვანელოების რაოდენობა მცირეა და ინგლისურენოვანი სამედიცინო პროგრამა საჭიროებს მეტ თანამედროვე ლიტერატურას და ამ მიმართულებით მუშაობა დაწყებულია. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი ოპერირებს ელექტრონული ბიბლიოთეკით, რომელიც ორენოვანია - ქართული და ინგლისური; ეს ელექტრონული რესურსები ხელმისაწვდომია მხოლოდ კსუ-ს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის. ელექტრონულ ბიბლიოთეკაში წიგნები დახარისხებულია სფეროების მიხედვით. არსებული წიგნები დახარისხებულია ბიბლიოთეკის სისტემა “openbiblio”-ში, რომელიც ხელმისაწვდომია მხოლოდ ინტერნეტში ჩართული ავტორიზირებული მომხმარებლისათვის. კსუ-ს ბიბლიოთეკა არის საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის წევრი. კსუ სარგებლობს რიგი საერთაშორისო ელექტრონული რესურსებით.

ყოველწლიურად ბიბლიოთეკის პერსონალი ესწრება პროფესიული განვითარების ტრენინგებს. ისინი კარგად მომზადებულნი არიან და პასუხისმგებლობით მართავენ საბიბლიოთეკო პროცესებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები დანართი 1.1.9 კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიუჯეტი (2018წ) დანართი 7.2.1 ბიბლიოთეკის რეგულაციები (კსუ-ს საბიბლიოთეკო რესურსების და მომსახურებების განვითარებისა და განახლების მექანიზმები) დანართი 7.2.2 ელექტრონული ბაზების მომსახურებაზე 2014 წლის ხელშეკრულება დანართი 7.2.3 შესყიდვებისა და შემოწირულობების ხელშეკრულებები დანართი 7.2.4 წიგნების ინვენტარიზაციის მასალები ინტერვიუები ბიბლიოთეკასთან, პედაგოგებთან, სტუდენტებთან ობიექტებზე ვიზიტი
რეკომენდაციები: კსუ-ს ბიბლიოთეკამ უნდა შეიძინოს მეტი თანამედროვე ლიტერატურა და უცხოენოვანი სახელმძღვანელოები, რათა განავითაროს ინგლისურენოვანი სამედიცინო პროგრამა.
რჩევები: არცერთი
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არცერთი
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.
7.3 საინფორმაციო რესურსები
o უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა. o ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მისი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები. o უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილია ვებგვერდის ფუნქციონირება ქართულ და ინგლისურ ენებზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კსუ-ს გააჩნია საინფორმაციო ტექნოლოგიების რესურსები და ინფრასტრუქტურა, მისი საჭიროებების შესაბამისი, სათანადოდ ადმინისტრირებული და ხელმისაწვდომი. IT ინფრასტრუქტურა მოიცავს: 411 კომპიუტერს; 82 ლეპტოპს; 91 პროექტორს; 4 სერვერს; 80 მრავალფუნქციურ პრინტერს; 29 მიკროფონს; 4 აუდიო მიქსერს; 7 ვიდეო-კამერას და 28 გარე დისკს. პროექტორები და პერსონალური კონპიუტერები ინსტალირებულია აუდიტორიაში. კსუ-ს გააჩნია სფეროსათვის სპეციფიკური ლაბორატორიები შესაბამისი ციფრული ტექნოლოგიებით და პროგრამებით საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად. კსუ-ს კომპიუტერული ტექნოლოგიები ინტეგრირებულია უნივერსიტეტის შიდა ქსელში და დაკავშირებულია გლობალურ ქსელთან. IT ტექნოლოგიის ინფრასტრუქტურა იყენებს 4 ტიპის ქსელებს: გლობალურ ქსელს, შიდა ქსელს, VPN ქსელს (კერძოდ სხვადასხვა შენობებს შორის დაცული კავშირისათვის) და სატელეფონო ქსელს. Wi-Fi ქსელი ხელმისაწვდომია მთელი უნივერსიტეტის ფარგლებში. ინტერნეტთან კავშირის დასამყარებლად უნივერსიტეტს ემსახურება ორი პროვაიდერი. სერვერები მოიცავენ მნიშვნელოვან ინფორმაციას და კონფიდენციალურ მონაცემებს. მონაცემების ხელმისაწვდომობის უფლება გაიცემა მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში.

ფაკულტეტებთან და დეპარტამენტებთან კავშირისათვის უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ოფიციალური ელ-ფოსტის მისამართები. საგანმანათლებლო პროცესის მენეჯმენტი ხორციელდება სწავლის მენეჯმენტის სისტემა GONI-ს პორტალის მეშვეობით; მუშაობის მხარდაჭერას და ინსტრუქტაჟს სისტემის ფუნქციონირების შესახებ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი.

უნივერსიტეტში ოპერირებს ინვენტარიზაციის მონიტორინგის სისტემა. კსუ-ში განლაგებულ სერვერებს და სისტემებს ადმინისტრირებას და ტექნიკურ მომსახურებას უწევს საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სამსახური.

კსუ-ს ვებგვერდი ორენოვანია - ქართული და ინგლისური და ტექნიჯურად მხარდაჭერილია გარე მომსახურების პროვაიდერი კომპანია "Indigo"-ს მიერ. კომპანიის კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებები მოიცავს ვებგვერდის შეუფერხებელ ტექნიკურ ოპერირებას. ვებ-გვერდის ადმინისტრაცია, ისევე, როგორც მიღებულ მესიჯებზე დროული რეაგირება, უზრუნველყოფილია საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ. ვებგვერდი ინფორმატიული და ხშირად განახლებადია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

დანართი 1.1.11 კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი ვებ-გვერდი www.ciu.edu.ge
დანართი 7.3.1 ჰოსტინგის და დომეინის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია
დანართი 7.3.2 კონტრაქტი კომპანია "Indigo"-სთან
დანართი 7.16.1 საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ელექტრონული სისტემის მენეჯმენტის პოლიტიკა

ინტერვიუები საინფორმაციო ტექნონლოგიების და ინოვაციების სამსახურთან, მატერიალური უზრუნველყოფის სამსახურთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან, პედაგოგებთან, სტუდენტებთან

ობიექტებზე ვიზიტი

შეფასება

☒სრულად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

რეკომენდაციები: არცერთი

რჩევები: არცერთი

საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არცერთი

7.4 ფინანსური რესურსები

- უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.
- უსდ-ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას.
- უსდ-ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე.
- უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება.
- უსდ-ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კსუ-ს ბიუჯეტი აჩვენებს, რომ შემოსავლების 45% მოდის უცხოელი სტუდენტების სწავლის გადასახიდან. უცხოელ სტუდენტთა რაოდენობა გაიზარდა კსუ-ს მიერ რეკრუტირების

აგენტებით სარგებლობის შედეგად და კსუ ამტკიცებს, რომ ეს უზრუნველყოფს მისი შემოსავლების ზრდას. სხვა შემოსავალი მოიცავს არენდას სტომატოლოგიური კლინიკის მესაკუთრეებისაგან, რომელიც ემსახურება მოსახლეობას, ისევე როგორც, უნარებს ასწავლის სტუდენტებს; შემოსავალი ინტელექტუალური საკუთრების გაყიდვიდან, მათ შორის მულტი-მედია ცენტრის მიერ შექმნილი; უწყვეტი განათლების კურსების მიერ მოწოდებული სხვადასხვა სერტიფიცირებული სასწავლო კურსების საფასური; სხვადასხვა საერთაშორისო და სახელმწიფო გრანტები; და წინა პერიოდში მიღებული მოგების რეინვესტირება. დღეისათვის მესაკუთრეებმა მთელი ნამატი კაპიტალი დააბრუნეს კსუ-ში.

კსუ-ს აქვს ხეკშეკრულება პარტნიორ ბანკტან, რომელიც არაუმეტეს ორი კვირის ვადით აძლევს 400,000 აშშ დოლარის გარანტიას. არსებობს, ასევე, ხელშეკრულება მეპატრონეებთან იმის თაობაზე, რომ უნივერსიტეტის ფინანსური საჭიროების შემთხვევაში, ისინი უზრუნველყოფენ დამატებით ინვესტიციას მაქსიმუმ ერთი თვის განმავლობაში.

კსუ-ს ძირითადი ფინანსური რესურსები ორიენტირებულია უნივერსიტეტში სარემონტო სამუშაოებზე, ობიექტების გაუმჯობესებასა და მატერიალურ რესურსებზე. კსუ გეგმავს ბიუჯეტის 6.6% დახარჯვას კვლევაზე და 5% ბიბლიოთეკის შენობასა და რესურსებზე. კვლევის გაძლიერების განზრახვის გათვალისწინებით, ამ ბიუჯეტმა უნდა გააგრძელოს ზრდა.

ფინანსური მენეჯმენტი და კონტროლი ხორციელდება სამ დონეზე: ფინანსური მომსახურება, შიდა და გარე აუდიტი, და მეპატრონეების შეხვედრა. ეს სისტემა ახდენს არასწორი ფინანსური აღრიცხვის რისკის ან ფინანსურად მცდარი გადაწყვეტილებების მიღების მინიმიზაციას. ნებისმიერი თანხის გადარიცხვა უნივერსიტეტიდან კონტროლდება ფინანსური სამსახურის მიერ, ხოლო მთავარი პასუხისმგებელი პირი არის კანცლერი, რომელიც მოქმედებს მეპატრონეებისაგან მიღებული ძალაუფლების შესაბამისად. ბიუჯეტი მიემართება კსუ-ს საქმიანობის სხვადასხვა სფეროებში, მათ შორის პროგრამებზე (სადაც დეტალები ექსპერტთა ჯგუფისათვის ოდნავ ბუნდოვანია), თუმცა ყველა ხარჯი ხელმოწერილია კანცელარიის მიერ.

პერსონალი, სტუდენტები და გარე დაინტერესებული მხარეები, რომლებიც შეხვდნენ ექსპერტთა ჯგუფს, ამბობენ, რომ ზოგადად კსუ-ს შეეძლო რესურსების მოძიება მისი საქმიანობის მდგრადობისა და განვითარებისათვის. ჩანს, რომ კსუ-ს აქვს სრულიად ადეკვატური შესაძლებლობები, რათა დაიცვას თავი დაუყოვნებელი ფინანსური რისკებისაგან, მაგრამ უცხოელი სტუდენტებისაგან შემოსული სწავლის გადასახადის მაღალი პროპორცია, რაც მგრძნობიარეა გარე ცვლილებებზე, რომელთა გაკონტროლება შეუძლებელია, კსუ-სთვის იქნებოდა გონივრული გაეგრძელებინა შემოსავლის სხვა წყაროების ზრდა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

დანართი 1.1.9 კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიუჯეტი (2018წ)
დანართი 7.4.1 ფინანსური მენეჯმენტისა და კონტროლის სისტემის რეგულაციები
დანართი 7.4.2 ფინანსური ანგარიშები

ინტერვიუები კანცლერთან, დეკანებთან, ფინანსურ სამსახურთან, უწყვეტი განათლების სამსახურთან

რეკომენდაციები: კსუ-მ უნდა გააგრძელოს ბიუჯეტის ზრდა კვლევითი საქმიანობის გაძლიერების მიზნით.

რჩევები: კსუ-ს შეუძლია შეამციროს მისი ფინანსური დამოკიდებულება უცხოელ სტუდენტთა სწავლის გადასახადზე, სხვა წყაროებიდან მისი შემოსავლის პროპორციის გაზრდით.

საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არცერთი

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☒მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.